

გრიგოლ გიორგაძე

**ხეთური და ასურული ღურსმნული
ტექსტების ქასქების (ქაუქების) აბულაქების
ეთნიკური წარმომავლობისათვის**

ახალციხე 2000

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ 1994-2000 წლებში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ეხება ხეთურ და ასურულ ლურსმნულ ტექსტებში მოხსენიებული ქასქების, აბეშლაელებისა და სხვა ტომთა ეთნიკური ვინაობის დღემდე დაუდგენელ საკითხს.

ქასქური ტოპონიმიკა, ქასქური საკუთარი სახელები, ცალკეული ქასქური სიტყვები, რომლებიც დადასტურებულია ძვ. წ. XV-XIII საუკუნეების ხეთურ ტექსტებში, მიუთითებს უფრო მეტად ქასქების სამხრეთ კოლხურ (დასავლურ ქართველურ) წარმომავლობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღურ ან სხვა წარმომავლობაზე.

აღნიშნულთან კავშირში განიხილება ასურული წყაროების აბეშლაელთა და სხვა ტომთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი.

В книге собраны опубликованные в 1994-2000 годах автором статьи, касающиеся еще нерешенного вопроса этнической принадлежности касков, абешлайцев и других племен, упомянутых в хеттских и ассирийских клинописных текстах.

Анализ каскской топонимики, каскских собственных имен, отдельных каскских слов, засвидетельствованных в хеттских текстах XV-XIII вв. до н. э., указывает больше всего на колхское (западно-картвельское), чем на абхазско-адыгское или другое происхождение касков.

В связи с вышесказанным рассматривается вопрос этнической принадлежности абешлайцев ассирийских текстов и других племен.

რედაქტორი: ნ. ხაზარაძე

რეცენზენტები: ი. ტატიშვილი
პ. რამიშვილი

წინათქმა

ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომებთან დაკავშირებული ჩემი პირველი ნაშრომი იყო ჩემი საკანდიდატო დისერტაცია (1956 წ.), რომელშიც ამ ტომთა ეთნიკურ ვინაობაზეც მქონდა საუბარი, თუმცა მაშინ ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა შეუძლებლად მიმაჩნდა. ქასქების ტომთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხი დღემდეც დაუდგენელი რჩება. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, ქასქები შეიძლება ყოფილიყვნენ: (1) ხათები (პროტოხეთები) თუ არა, მათი მონათესავე ტომები; (2) აფსახურ-ადიღეური წარმომავლობის ტომები ან (3) ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის (მოგვიანო პონტოს) მკვიდრნი. [

ძვ. წ. XV-XIII საუკუნეების დროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტოპონიმის, ქასქური საკუთარი სახელების. ცალკეული ქასქური სიტყვების ანალიზი მიუთითებს უფრო მეტად ქასქების სამხრეთ კოლხურ (დასავლურ ქართველურ) წარმომავლობაზე, ვიდრე აფსახურ-ადიღეურ ან სხვა წარმოშობაზე. აღნიშნულთან კავშირში იხილება ასურული წყაროების აბეშლაელთა და სხვა ტომთა ეთნიკური კუთვნილების საკითხი.

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება ქასქების ეთნიკური ვინაობისადმი მიძღვნილი ჩემი ახალი ნაშრომი სამ ენაზე (ქართულად, რუსულად, გერმანულად), სტატია ასურული ლურსმული ტექსტების "ქაშქა" და "აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (1998), ნაშრომი ძველ მცირე აზიაში არაინდოევროპული ეთნიკური ჯგუფების (ხათების, ქასქების) შესახებ (1999) და დამატების სახით რამდენიმე სტატია, რომლებიც ეძღვნება ქასქების ისტორიის სხვადასხვა საკითხს (1994-1995).

“დაბატებაში” ქვეყნდება აგრეთვე 1999 წლის 9 აპრილს გაიყუთ “თბილისში” დაბუკდილი ინფორმაცია ქასქების შესახებ არქეოლო- გიური კვლევის ცენტრში ჩემს მიერ წაკითხულ მოხსენებასთან დაკავშირებით. რომლის ავტორია უურნალისტი დალი ოსეფაშვილი (იბუქდება ინფორმაციის ავტორის ნებართვით).

წიგნის გამოსაცემად მომზადებაში დიდი დახმარება გამიწიეს ბ-ნმა გიორგი ეორეოლიანმა, ქალბატონებმა ეკა გამყრელიძემ და მიაა ღამბაშიძემ. ბ-ნმა ზურაბ ცკვიტინიძემ, ბ-ნმა თემურ ჯოჯუამ, ქ-ნმა ნინო ხუციშვილმა, ქ-ნმა ანა რუაძემ და ქ-ნმა მარიამ ბუტიკაშვილმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის კომპიუტერული ღაბორატორიის თანამშრომლებმა-ქალბატონებმა ლელა ინასარიძემ, მანანა ბერიძემ, ღილი გოზალიშვილმა, მარინე მურჯინელმა, ღია გზირიშვილმა და მიაა ბალასანიანმა, რომლებსაც ავტორი გუღითად მადლობას უხდის.

უსაზღვროდ მადღიერი ვარ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილი- სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორის ბ-ნ მერაბ ბერძისა, რომელმაც ითავა წინამდებარე წიგნის გამოცემა, რითაც მან ავტორს ფასდაუღებელი დახმარება გაუწია.

ღასასრულ, წიგნის გამოცემის ხელშეწყობისათვის დიღად უმადღობ ქალბატონებს - ნანა ხაზარაძესა და თინათინ ივეღაშვიღს.

ПРЕДИСЛОВИЕ

Моим первым трудом относительно каскских (кашкских) племен хеттских и ассирийских клинописных текстов была моя кандидатская диссертация (1956 г.), в которой речь шла и об этнической принадлежности этих племен, хотя убедительное решение этого вопроса тогда мне казалось невозможным. Вопрос этнической принадлежности каскских племен остается нерешенным и поныне. Согласно высказанным в научной литературе мнениям, каски, возможно, являлись: (1) хаттами (протохеттами) или родственными им племенами, (2) племенами абхазско-адыгского происхождения или (3) коренными жителями Северной и Северо-Восточной Анатолии (позднейшего Понта).

Анализ каскской топонимики, каскских собственных имен, отдельных каскских слов, засвидетельствованных в хеттских текстах XV-XIII вв. до н. э., указывает больше всего на колхское (западно-картвельское), чем на абхазско-адыгское или другое происхождение касков. В связи с вышесказанным рассматривается вопрос этнической принадлежности абешлайцев ассирийских текстов и других племен.

В данной книге публикуются моя новая статья на трех (на грузинском, русском и немецком языках), посвященная этнической принадлежности касков, статья о взаимоотношениях терминов “Кашка” и “Абешла” ассирийских клинописных текстов (1998 г.), труд относительно неиндоевропейских этнических групп (хаттов, касков) в древней Малой Азии (1999 г.) и, в виде дополнения, несколько статей, посвященных разным вопросам истории касков (1994-1995 гг.). В “Дополнении” публикуется также напечатанная в газете “Тбилиси” от 9 апреля 1999 года информация о моем докладе относительно касков в Центре археологических исследований, автором которой является журналистка Дали Осепашвили (печатается по разрешению автора информации).

В процессе подготовки книги мне оказали большую помощь г-н Г. Жоржوليани, госпожи Э. Гамкрелидзе и М. Гамбашидзе, г-н З. Цквитинидзе, г-н Т. Джоджуа, г-жа Н. Хуцишвили, г-жа А. Руадзе и г-жа М. Бутикашвили,

сотрудники компьютерной лаборатории Ахалцихского филиала Тбилисского государственного университета им. И.А. Джавахишвили госпожи Л. Инасаридзе, М. Беридзе, Л. Гозалишвили, М. Мурджикнели, Л. Гзиришвили и М. Баласаниян, которым автор приносит сердечную благодарность.

Я безгранично благодарен директору Ахалцихского филиала Тбилисского государственного университета им. И. А. Джавахишвили г-ну М. Беридзе, любезно взявшему на себя обязанность опубликовать данную книгу, чем он оказал автору неоценимую помощь.

Наконец, за оказание помощи в деле издания книги я очень обязан господам Н. Хазарадзе и Т. Ивелашвили.

ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის*

უძველეს მცირე აზიაში (ანატოლიაში) მცხოვრებ არაინდოევროპული წარმოშობის ტომებს განეკუთვნებოდნენ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მრავალგზის მოხსენიებული ქასქები, რომლებიც ხეთების სახელმწიფოს არსებობის მთელს მანძილზე (ქ. წ. XVII-XIII სს.) ხეთების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, მოგვიანო ხანის პონტოში და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ (ქასქებთან დაკავშირებით იხ. 13; 18).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, ქასქებს, როგორც უძველეს ანატოლიაში მცხოვრებთ, ასევე არაინდოევროპული წარმოშობის ხათებს, იმავე პროტოხეთებს (14; 17), აკავშირებენ იმ ეთნიკურ გაერთიანებებთან, რომლებიც მოგვიანებით, შუა საუკუნეების დროიდან, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, კერძოდ, „აფხაზურ-ადიღური“ (აბაზურ-ადიღური) მოღგმის ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. ხათურ (პროტოხეთურ) ენას მკვლევართა ერთი ჯგუფი (გიორგი მელიქიშვილი, ივორ დიაკონოვი და სხვანი, მათ შორის აფხაზი ისტორიკოსები) თვლის ერთ-ერთ აფხაზურ-ადიღურ ენად (15. 26-52). ხეთოლოგთა ნაწილი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ შეხედულების გაზიარებისაგან, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ხათური ენა შეიძლება იყოს „კავკასიური“ (ქართულ ენათმეცნიერებს ხათური ენა დღემდე არ შეუსწავლიათ), ხოლო ქასქებს (ქაშქებს) განიხილავს, როგორც აფხაზურ-ადიღური წარმოშობის ტომებს (16. 107, 119; 11. 10). დასავლელი მეცნიერები ამ შეხედულებებისადმი თითქმის არ ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას.

ხათებთან და ქასქებთან დაკავშირებით ზოგიერთი მკვლევარი (მათ შორის აფხაზი ისტორიკოსები) საკმაოდ შორსმომავალ დასკვნებსაც აკეთებს.

* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1997 წლის 1 აპრილს წაკითხული მოხსენება (2. 13).

სახელობრ, გამოთქეამს ვარაუდს, რომ ცენტრალური მცირე აზია იყო საერთოდ, კავკასიური წარმოშობის (მათ შორის ჩრდილო-დასავლურ, ე. ი. აფხაზურ-ადიღურ) ტომთა წინარე სამშობლო, საიდანაც ისინი თანდათან უნდა გადასახლებულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ, კავკასიისაკენ (II. 9-11). ამ მკვლევართა ვარაუდით, უზარმაზარი ტერიტორია ცენტრალური ანატოლიიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ჩათვლით, მთელი აღმოსავლეთ შაიზღვისპირეთის სანაპირო, სწორედ აფხაზურ-ადიღური ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული, აფსუას და ადიღეს ტომთა ფორმირება კი უნდა მომხდარიყო მათი თანამედროვე განსახლებიდან გაცილებით სამხრეთით მდებარე რაიონებში (II. 9; იგულისხმება ცენტრალური ანატოლიაც), რის დასამტკიცებლადაც ისინი იშველიებენ ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და სხვათა ნაშრომებს (ისევე როგორც მოგვიანო ხანის ხალხურ თქმულებებსაც). ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ე. ი. როცა ცენტრალური ანატოლია („გაცილებით სამხრეთით მდებარე ტერიტორია...“) განიხილება როგორც წინარე სამშობლო ჩრდილო-დასავლურ კავკასიური წარმოშობის ტომებისა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას ველარ განვიხილავთ, როგორც აფხაზურ-ადიღურ ტომთა წინარე სამშობლოს. ამას კარგად ითვალისწინებს აფხაზ მკვლევართა ნაწილი, რომელიც უარყოფს ზემოაღნიშნულ ჰიპოთეზას და თვლის, რომ აფსუას და ადიღეს ტომთა ფორმირება ხდებოდა მათი თანამედროვე განსახლების ტერიტორიაზე. ე. ი. ამ ტომთა გადმოსახლება რომელიმე შორს (სამხრეთში) მდებარე რაიონებიდან გამორიცხულია.

ქვემოთ ვრცლად შევეხებით ქასქებს (ქაშქებს). მიუხედავად იმისა, რომ ხეთური ლურსმული ტექსტების გამოქვეყნების შემდეგ ამ ტომებთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი რამ გაირკვა, ქასქების ისტორიის არაერთი საკითხი კვლავ ბუნდოვანია. ეს განსაკუთრებით ითქმის ამ ტომთა ეთნიკურ წარმომავლობაზე.

ქასქების ტომები ხეთურ ლურსმულ ტექსტებში აღნიშნულია ტერმინით „ქასქა“ („ქაშქა“), რომლის დაწერილობა ამ წყაროებში გადმოცემულია სხვადასხვანაირად: „ქაშქა“, „გაშქა“, „კაშქა“, „კაშქა“, „ქაშქა“ და ა. შ. სხვა ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში ჩვენთვის საინტერესო ტომების სახელწოდებები გადმოცემულია შემდეგნაირად: ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში – Kškš (Kaškaš); ელ-ამარნას არქივის ერთ-ერთ ტექსტში – Gašgaia; შუა ასურული ხანის წყაროებში – Kaškaia; ახალ ასურულში – Kaska ან Kasku; უგარიტულ ტექსტებში – Ktkym. „ქასქა“ ტერმინის სინონიმი ძველადმოსავლურ წყაროებში არ მოიხსენიება (თუ არ ჩავთვლით

ერთ შემთხვევას, რომლის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი). შეიძლება მხოლოდ ვიგარაუდოთ, რომ „ქასქა“ იყო აგრეთვე ამ ტომთა თვითსახელწოდება (ავტონომონიმი), რომელსაც ხმარობდნენ ქასქების მეზობელი თუ არამეზობელი ხალხებიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვა „ქასქა“-ს ეტიმოლოგია უცნობია, იგი თავისი ფორმით ახლოსაა ხათურ სიტყვასთან „ქაქუ“, რაც ნიშნავს „მთვარეს“

ხეთურ ტექსტებში „ქასქა“ ტერმინისაგან ნაწარმოებია „ქასქას ტომი“ („ქასქა-ტომი“) ან „ქასქას ტომები“, „ქასქას ქვეყანა“ (ან ქვეყნები), „ქასქელი“ (კაცი თუ ქალი), „ქასქელები“, „ქასქელი მეომრები“ ან „ქასქას ქვეყნის მეომრები“. „ქასქა-მტერი“, „ქასქას ღვთაებები“ ან „ქასქური ღვთაებები“ და ა. შ.

ტერმინი „ქასქა“ არ აღვნიშნავდა ერთ რომელიმე ტომობრივ გაერთიანებას, იგი იყო ზოგადი სახელწოდება ტომებისა, რომლებიც, როგორც ვთქვით, ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნა, ტერიტორიულად ესაა მოგვიანო ხანის პონტო და მისი მიმდებარე რაიონები აღმოსავლეთის მხრიდან (ქასქების გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი არ არის ზუსტად დადგენილი, შესაძლოა, იგი აღწევდა თანამედროვე ერზინჯანამდე). ქასქების ტერიტორიის გავრცელება მდ. მარასანთას, ე. ი. თანამედროვე ყიზილ-ირმაკის (კლასიკური ხანის პალისის) დასავლეთით, კერძოდ, პაფლაგონიამდე, არ არის გამართლებული.

ზოგიერთი ხეთოლოგის აზრით, ქასქების ტომები ცხოვრობდნენ ხეთების მეზობელ რაიონებში მხოლოდ „ძველი სამეფოს“ პერიოდიდან, კერძოდ, მეფე ხანთილი I-ის მმართველობის წლებიდან (დაახლ. ქ. წ. XVI საუკუნის დამდეგი). რადგან სწორედ ამ მეფის სახელით შედგენილ ერთ-ერთ ტექსტში იხსენიებიან ისინი პირველად. მაგრამ მკვლევართა ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს იმის გამო, რომ ადრეულ ხეთურ წყაროებში ქასქების მოუხსენიებლობა არ არის დამაჯერებელი არგუმენტი ანატოლიაში ამ ტომთა არარსებობისათვის. ადრეული ხანის ხეთურ ტექსტებში არც სხვა ტომის თუ ქვეყნის სახელია მოხსენიებული, მაგრამ მათი არსებობა ანატოლიაში უფრო ადრეულ ხანაშიც ეჭვს არ იწვევს. ქასქები ცხოვრობდნენ პონტოს რაიონში უფრო ადრეულ პერიოდშიც. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებული ფაქტები, რომელთა მიხედვით ქასქების ტერიტორიაზე მღებარეობდნენ ამჟამად ხათური (პროტოხეთური) წარმოშობის პუნქტები, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ქასქები ბინადრობდნენ პონტოს აღმოსავლეთით, ან მის აღმოსავლეთ პერიფერიაზე (შესაძლოა მდ. ჭოროხის

სათავიებამდე), საიდანაც ისინი მოგვიანებით თანდათან უნდა გაკრცვლებულიყვნენ დასავლეთისკენ. ხათური (პროტოხეთური) ტომების ინდოევროპელ ხეთებთან შერწყმის შემდეგ. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქასქური ონომასტიკონის, განსაკუთრებით ტოპონიმიკის, ნაწილი ხათური წარმოშობისაა. რომელიმე შორეული რაიონიდან ქასქების ტომთა გადმოსახლების ან სხვა ადგილებში გადასახლების შესახებ ხეთურ, ისევე როგორც სხვა ძველადმოსავლურ წყაროებში, არავითარი მითითება არ შემონახულა. ეს ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ ქასქები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ავტოქთონური, ძველისძველი მკვიდრი ტომები იყვნენ.

ქასქების ეთნიკური ვინაობის საკითხი დღემდე გაურკვეველია. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ქასქები უნდა ყოფილიყვნენ სათები (პროტოხეთები) თუ არა, მათი მონათესავე ტომები მაინც. მეორე მოსაზრება გულისხმობს, რომ ქასქები დასაკავშირებელია, როგორც 'ხემოთაც აღინიშნა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ (სახელდობრ, აფხაზურ-ადიღურ) ტომებთან. არ გამოირიცხება მესამე ვარაუდიც (როგორც 'ხემოთ აღვნიშნეთ), რომლის მიხედვით ქასქები ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მკვიდრი ტომები უნდა ყოფილიყვნენ (ივანე ჯავახიშვილს ქასქები მიაჩნდა მერმინდელ კოლხთა წინაპრებად – 9. 43. ქასქებს აიგივებენ კოლხებთან სხვებიც, მათ შორის პეტრე უშაკოვი – 7. 247-248, 251).

განივიხილოთ თითოეული მოსაზრება ცალ-ცალკე.

ხეთურ ტექსტებში დადასტურებული ქასქური ონომასტიკონის შესწავლამ 50-იანი წლების შუა ხანებში იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ონომასტიკონის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ტოპონიმიკა, როგორც 'ხემოთ აღინიშნა, ხათური (პროტოხეთური) წარმოშობისა იყო. ეს არცაა მოულოდნელი, რადგან ქასქებს ეკავათ ოდესღაც სათებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი. სადაც, დასავლეთით გადანაცვლების შემდგომ, მათ უნდა დაეტოვებინათ ძველი ტოპონიმები. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ აღვნიშნავდით (13. 209-210), რომ ეს გარემოება არ უნდა ყოფილიყო საქმარისი ქასქებისა და სათების ნათესაობის დასადგენად. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო იყო ქასქური ენის ბუნების გარკვევა, რაც იმხანად შეუძლებელი იყო. ეს არ ხერხდება დღესაც. არ მართლდება ქასქების იდენტიფიცირება ხათებთან თუნდაც იმ მიზნის გამო, რომ საზოგადოებრივი განვითარების დონის მიხედვით ისინი სულ სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ: თუკი ხათური საზოგადოება

შეიძლება განვიხილოთ როგორც ქალაქ-სახელმწიფოს ტიპის საზოგადოება (ე. ი. როგორც ადრეელასობრივი). ქასქები ამ მხრივ აშკარად ჩამორჩებოდნენ. ერთი ხეთური ტექსტის თანახმად, ქასქებისათვის უცნობი ყოფილა „ერთი (კაცის) ბატონობა“, ე. ი. მეფობა, თუმცა ასეთ ბატონობას ისინი უკვე იწყებდნენ (მათი ერთ-ერთი მმართველის – თიფიელი ფიხუნის დროს).¹

ქასქების დაკავშირება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სახელწოდება „ქასქა/ქაშქა“ ავლენს ბგერით სიახლოვეს ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან, ე. ი. „ქაშაგ“-თან, რომელიც გადმოიციქოდა შუა საუკუნეების წყაროებში შემდეგი ფორმებით: „ქასახია“ (VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელ ავტორებთან, X საუკუნეში მოღვაწე კონსტანტინე პორფიროგენეტთან), „ქაშაგ“, „ქაშაქია“ (არაბულ წყაროებში, მასულისთან – X ს.), „კასოგი“ (ძველ რუსულ ტექსტში: „Повесть временных лет“ – 1113 წ.) „ქაშოგი“. „ქეშივი“ (ძველ ქართულ წყაროებში – 10. 273. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „ქაშაგ“-ი საბასთან განმარტებულია როგორც „მოზრდილი ტყვე“, ხოლო ფანასკერტელთან სიტყვა „ქაშაქი“ ახსნილია როგორც „წუენი ქერის კორკოტისა“, ტერმინი „ქაშქის წყალი“ კი გამოიყენებოდა ლუდის აღსანიშნავად) და ა. შ.* ლინგვისტური თვალსაზრისით გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების „ქასქა/ქაშქა“ ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ „ქაშაგ“ სახელწოდებასთან, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცესა (დაახლ. 3000 კმ) და დროში (მინიმუმ 20 საუკუნე). სახელთა ამ მსგავსებაზეა აგებული ფართოდ გაკრცვლებული მოსაზრება ხეთური წყაროების ქასქების გაიგივებისა ჩერქეზულ (ადიღურ) ტომებთან – ქაშაგებთან (ისევე როგორც ზოგიერთი ძველევარი ასურული ლურსმული ტექსტების აბემლაელებს აკავშირებს აფსილებთან და აქედან გამომდინარე, აფსუელებთან, ე. ი. თანამედროვე აფხაზებთან). მაგრამ საკითხავია, რამდენად მართებულია აღნიშნულ ტომთა იგივეობის გამოცხადება „ქასქა/ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? პირადად მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი არ უნდა იყოს გადამწყვეტი არგუმენტი ქასქებისა და ჩერქეზების რეალური იგივეობის დადგენისათვის (ისევე როგორც აქედან გამომდინარე ზოგიერთი ძალზედ

* კრლად იხ. 12. 19-22. აღსანიშნავია, რომ ნატალია ვოლკოვას აზრით, შესაძლებელი გენეტიური კავშირის ძებნა „ქასაგ“ და „ქაშქ“ ტერმინებს შორის გამორიცხულია (იქვე, გვ. 22, შენ. 9).

შორს მიმავალი დასკვნისათვის). სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინთა მსგავსება შემთხვევითია. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ხეთური წყაროების „ქაშქა“ ტერმინი მსგავსია ან იდენტურია სხვადასხვა ეპოქის იმ ტომთა (და ხალხთა) სახელწოდებებსა, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ახლაც ცხოვრობენ მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარეში, მაგალითად, აფრიკაში (კამერუნში – ტომი „ქასქა“), ევროპაში (ლათ. Casca), აზიაში (ინდოეთში მცხოვრები ტომები „გაშქა“), თვით მოვეიანო ხანების მცირე აზიაში: „ბოლეგასგუს“ (ანკარის ჩრდილოეთით), „ქესქოს“ (პამფილიაში) და ა. შ. (ერცლად იხ. 18. 88-89).

სხვადასხვა წარმოშობის ხალხთა აღსანიშნავად ერთი და იმავე ტერმინის ხმარების მაგალითები მრავლადაა შემორჩენილი. მაგალითად, ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის უცხო არ იყო სრულიად განსხვავებული ხალხების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება: საბერძნეთის აქაფები და შავიზღვისპირეთის აქაფები; ლიბიის მახლიები და გეოტიდის მახლიები; ალბანიის მთის მცხოვრებნი და თესალიელი ალბანები (აგრეთვე კავკასიაში მოსახლე ალბანები); პირენეის ნახევარკუნძულის იბერები და ქართველი იბერები... (5. 58).

თუკი დაუშვებთ, რომ ხეთური ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და შუა საუკუნეების ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური „ქაშაგ“ ტერმინთა მსგავსება შეიძლება იყოს შემთხვევითი, მაშინ ამ შემთხვევითობის დამადასტურებელ არგუმენტად ხომ არ გამოდგება ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული „ქაშაგ“ ეთნონიმი განეკუთვნება იმ -გ- სუფიქსით ნაწარმოებ ადგილობრივ ეთნონიმებს, როგორცაა „სანიგ“, „პაჭანიგ“, „აბაზგ“... ამ ეთნონიმებში -გ- სუფიქსი ხომ არ შეიძლება ადგილობრივი, უფრო სწორად. ინდო-ირანული წარმომავლობისა იყოს? განიხილავს რა ქართულში დადასტურებულ სიტყვა „ქაშაგს“ „მოზრდილი ტყვის“ მნიშვნელობით, მზია ანდრონიკაშვილი იქვე მიუთითებს, რომ „ქაშაგი“ აღნიშნავდა „ყაბარდოელს“, ე. ი. -გ- სუფიქსი ამ შემთხვევაში სწორედ წარმომავლობის სუფიქსის როლში გამოდის (1. 118). -გ- სუფიქსიანი ტოპონიმები მრავლადაა შემორჩენილი ოსურშიც: „თუალლაგ“ – „თუალელი“, „კუდაირაგ“ – „კუდაროელი“. „ჯაუკომაგ“ – „ჯავისხვეელი“, „ხუსაირაგ“ – „სამხრელი“... (6. 67-69).

ამგვარად, „ქაშქა“ და „ქაშაგ“ სახელთა გარეგანი მსგავსების გარდა, რაიმე სხვა სახის კავშირი ქასქებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

მცხოვრებ ტომთა შორის ჯერჯერობით არ გამოვლენილა. ამიტომ, მოსაზრება ქასქების გენეტიკური კავშირისა აფხაზურ-ადიღურ ტომებთან, როგორც ეს ივარაუდება დლესაც (განსაკუთრებით აფხაზ მკვლევართა მიერ – 11), მიმაჩნია არადამაჯერებლად, მით უმეტეს, რომ ქასქები, ჩემის აზრით, განსახილველნი არიან როგორც მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონების (პონტოსა და მისი მომიჯნავე ოლქების) ავტოქთონური მოსახლეობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, არავითარი დამადასტურებელი მასალა ხეთურ ხანაში შორეული რაიონებიდან ქასქების ტომთა გადასახლება-გადმოსახლებისა არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულს მიყვავართ იქითკენ, რომ ვივარაუდოთ ქასქების ტომთა გენეტიკური სიახლოვე სხვა წარმოშობის ტომებთან. ამ მხრივ პერსპექტიული უნდა იყოს გენეტიკური კავშირების ძებნა ძველ კოლხურ, (ე. ი. დასავლურ-ქართველურ, მეგრულ-ჭანურ-სევანურ), განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ სწორედ პონტოს აღმოსავლეთ რაიონებსა და მათ მეზობლად აღმოსავლეთიდან. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ქასქური ტოპონიმიკა, ქასქური საკუთარი სახელები, ცალკეული ქასქური სიტყვები და ა. შ. (18. 89-100), რომლებიც თარიღდება ქ. წ. XV-XIII საუკუნეებით. მოვლი ეს მასალა ჩვენთვის საინტერესო მიზნით ჯერჯერობით არავის გამოუყენებია.

გავეცნოთ მაგალითებს.

ქასქური ტოპონიმეჟკარგადაა ასახული ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მოივრდება -ა სუფიქსზე: აშხარფაა (აშხარბაა, ასხარბაა), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია, ქაშქაია (ქასქაია). ფათალია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია), თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთურია (თაქასთურია), თალმაღია, თიშია, თიფია. ვაშხაია (ვასხაია), ციხარია, ცითახარია, ციხარცია და სხვა მრავალი (ქასქური ტოპონიმიკის -ია სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. მეგრული გვარები. რომლებიც ბოლოვდებიან -ია სუფიქსზე: ქეცბაია, თოფურია, ქანთარია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ოდიშარია, ქუთელია, ფიფია და ა. შ. – 8. 423-424).

ინტერესს იწვევს -სქა, -სგა, (-შქა, -შგა) სუფიქსიანი ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებული იყო თითქმის მხოლოდ ქასქებით დასახლებულ ტერიტორიაზე: თიითონ ქასქა (ქაშქა), ხუმიწთისქა, ხუმიწთიშქა (ხუმიწთისგა, ხუმიწთეშქა),

ქარიჭურისქა (ქარიჭურიწვა). მუნისქა (მუნიშვა), თათისქა (თათიშქა), თუთუსქა, დუდუსქა (დუდუშქა) და ციანთისქა (ციანთეშქა). როგორც ცნობილია, ამავე სუფიქსითაა გაფორმებული ასურულ ლურსმულ წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი – მუშქა (მუსქა), იგივე მუშქაია (მუსქაია), ე. ი. მუშქაის. მოგვიანო ხანის მესხების, აღმნიშვნელი ტერმინი, რომელსაც ქართველურ სამყაროში გადავყავართ. -სქა (-სვა) ქასქურ სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. -სქ/-სვ- კომპლექსიანი ფორმები ზანერსა და სვანურში, ისევე როგორც ჭანურ-მეგრულ-სვანური შქ-ა, ი-სვა – „შუა“ (3. 51-53). ზემოაჩნობილი სახელწოდებათაგან ზემინთიშქა, თათიშქა და ციანთიშქა გამოირჩევა იმითაც, რომ მათში შეიძლება დაინახოთ სიტყვა „თიშქა/დიშქა“ (შდრ. ჭანური და მეგრული „დიშქა“ – „შეშა“). -სქა, -შქა სუფიქსიანი ტოპონიმი შედარებითაა საბევრელოში დღესაც – ყირღალიშქა (2. 29).

ქასქური პირთა სახელებიც მრავალფეროვანია. აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასხაფალა (აშხაფალა), ხათეფა, ხაციხა, იციცი, ქასქამუვა. ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (ჰაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია. ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფიციცი, საფალი, სუისმელი (შუიშმელი), დადა (თათა. დათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და ა. შ.

ქასქური პირთა სახელების ნაწილი მთავრდება -ილი სუფიქსზე, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ხათური (პროტოხეთური) წარმოშობის -ილ სუფიქსი უნდა იყოს და უნდა აღნიშნავდეს ამა თუ იმ პირის წარმომავლობას (მაგ. „ნერიქაილ“ – „ნერიქელი“, კაცი ქ. ნერიქიდან; „ხათუშიაილ“ – „ხათუსელი“, კაცი ქ. ხათუსიდან და სხვ.). მას დიდი ხანია უკავშირებენ ქართულ -ელ-სუფიქსს. ასეთი სახელებია: ხიშვილი (ქართულად „ხიშველი“), ითილი, ქასქაილი (ქართ. „ქასქელი“), ქურიალი (ქართ. „ქურიელი“), ფიაფილი, სამეთილი (ქართ. „სამეთელი“), საუსილი, სუისმელი, სუნაილი, დადილი. დადილუ (ქართ. „დადიელი“) და სხვ.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმები და საკუთარი სახელები -უვა, -ვა დაბოლოებებით (ასეთი სახელებიც მრავლადაა მეგრულში):

ტოპონიმები – ხათენცუვა, ქარასუვა, ქათალადუვა, ქათხაიდუვა, ქათითიშუვა, საფილუვა, თაფასაუა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თაფაფახსუვა, ციმუშუვა და სხვ.

საკუთარი სახელები – ქაშალუვა (ქასალუვა), ქასქამუვა, ქიფურუვა და ა. შ.

აქვე უნდა მივუთითოთ სიტყვებზე, რომლებიც აშკარად ქასქური ლექსიკიდან არის აღებული (თუმცა მათი მნიშვნელობები დაუდგენელია):

ფიკაფილუ. ფიქურიალი, ფიქედუშენას, ფიფალაა, ფითიურია, ფითუნთუშ¹ (ფითუნთუს). როგორც ვარაუდობენ, ეს სიტყვები იწყება ფი- პრეფიქსით, რომელსაც სათურ წარმოშობისად თვლიან (18. 94; 4. 44).

კიდევ არაერთ მაგალითზე შეიძლება შეჩერება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ზემოაღნიშნულით ვკმაყოფილდებით. მართალია, ჯერჯერობით არ ხერხდება დასასწავლელი სიტყვების მნიშვნელობათა დადგენა, მათი ეტიმოლოგიის გამოვლენა. მაგრამ ისინი მანც იმსახურებენ ყურადღებას თავიანთი ბგერითი შემადგენლობით. ამასთანავე, საყურადღებოა ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და მეგრულ-ლაზურში, განსაკუთრებით, აფიქსთა იდენტურობა. გასათვალისწინებელია, რომ საქმე გვაქვს ონომასტიკურ მასალასთან და მაწარმოებელ აფიქსებთან, რაც საუკუნეებს უძღვება. ამ სახელწოდებებში ბერია მეგრული (საერთოდ, დასავლურ-ქართველური) სტრუქტურის ტოპონიმები და საკუთარი სახელები, რაც გასათვალისწინებელია ქასქების ეონიკური ვინაობის დადგენისას. ზემომოტანილი მასალა მიუთითებს უფრო მეტად ქასქების კოლხურ წარმოშობაზე. ვიდრე აფხაზურ-ადიგურ წარმომავლობაზე.

ლიტერატურა

1. შხია ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ. 1966.
2. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. VIII. თბ. 1997.
3. თამაზ გამყრელიძე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბ. 1959.
4. გრიგოლ გიორგაძე. ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებანი. „ქართული დიპლომატია“. წელიწდუელი. I. თბ. 1994.
5. კალერი ვაჰაიძე. ტერმინები „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ თბ. 1993.
6. ვახტანგ ითონიშვილი. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ. 1995.
7. პეტრე უშაკოვი. საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“ X-B. თბ. 1940.
8. იოსებ ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა.

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ. 1994.

9. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თხზულებანი თორმეტ ტომად. I. თბ. 1979.

10. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ. 1950.

11. **Ардзінба В. Г., Чиркба В. Ф.** Происхождение Абхазского народа. В кн.: История Абхазии. Сухум-Тб. 1991.

12. **Волкова Н. Г.** Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М. 1973.

13. **Гноргадзе Г. Г.** К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий. „Переднеазиатский сборник“ I. М. 1961

14. **Дунаевская И. М., Дьяконов И. М.** Хаттский (протохеттский) язык. В сб.: „Языки Азии и Африки“ III. М. 1979.

15. **Иванов В. В.** Об отношении хаттского языка к северо-западнокавказским. В сб.: „Древняя Анатолия“ М. 1985.

16. История древнего Востока. Под редакцией Бонгард-Левина Г. М. II. М. 1988.

17. **Камменхубер А.** Хаттский язык. В сб.: „Древние языки Малой Азии“ М. 1980.

18. *E von Schuler* Die Kaşkäer Berlin. 1965.

К ЭТНИЧЕСКОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ КАСКСКИХ (КАШКСКИХ) ПЛЕМЕН ХЕТТСКИХ КЛИНОПИСНЫХ ТЕКСТОВ*

К племенам неиндоевропейского происхождения, проживавшим в древней Малой Азии (Анатолии), следует отнести многократно упоминаемых в хеттских клинописных текстах касков (кашков), проживавших на всем протяжении существования Хеттского государства в районах, расположенных к северу и северо-востоку от хеттов, в позднейшем Понте и на прилегавшей к востоку от нее территории (относительно касков подробно см. Гиоргадзе, 1961, с. 161 и сл.; E. von Schuler, 1965).

Согласно мнениям, выдвинутым в научной литературе, касков-жителей древнейшей Анатолии, как и хаттов, тех же протохеттов явно неиндоевропейского происхождения, обычно связывают с теми этническими объединениями, которые позднее, в средние века, проживали на территории, населенной племенами абхазско-адыгского происхождения (Г. А. Меликишвили, И. М. Дьяконов и другие, в том числе абхазские ученые). Хаттский язык одной группой исследователей (в том числе абхазскими учеными) рассматривается как один из абхазско-адыгских языков (Иванов, 1985, с. 26-52; Дунаевская, Дьяконов, 1979, с. 79-86), хотя часть хеттологов воздерживается от такого мнения, лишь отмечая, что хаттский, возможно, является каким-то "кавказским" (грузинскими языковедами хаттский язык пока еще не изучался). Касков же, как и абешлайцев ассирийских клинописных текстов, эти ученые считают также абхазско-адыгскими племенами, в частности, согласно новой научной литературе, они рассматриваются как черкесские (кашаги, касоги) и абхазские (апсуйские) племена (История древнего Востока, 1988, с. 197, 119; История Абхазии, 1991, с. 10). Западные исследователи пока еще не проявляют своего отношения к этим соображениям.

В связи с хаттами и касками (в особенности касками) некоторые ученые делают далеко идущие выводы. В частности, согласно одному из предположений, областью расселения этих племен северо-западно-кавказского, т. е. абхазско-адыгского происхождения, "с древнейших времен являлся весь Западный Кавказ и прилегающие к Западному Кавказу районы Малой Азии, вдоль Черноморского побережья и в глубь этой территории"

* Русский вариант доклада, прочитанного в Институте языкознания им. Арн. Чикобава 1 апреля 1997 года.

(История Абхазии. 1991, с. 11). Отсюда эти племена постепенно должны были переселиться на Кавказ. Исходя из таких соображений, обширная территория Центральной Анатолии, побережье Восточного Причерноморья вплоть до Северо-Западного Кавказа, должны были быть населены именно абхазско-адыгскими племенами, а формирование этих племен должно было происходить, следовательно, в районах, расположенных в более южной области их обитания в древности. Для подтверждения вышесказанного порой прибегают к трудам Н. Я. Марра, И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашия и других (как и к народным преданиям позднейшего времени - История Абхазии, 1991, с. 9)*. Разумеется, если Центральную Анатолию (т. е. "более южную территорию") будем считать прародиной племен северо-западно-кавказского происхождения, то Северо-Западный Кавказ невозможно будет рассматривать прародиной абхазско-адыгских племен. Именно поэтому следует отказаться от вышерассмотренной гипотезы, как это делает ряд ученых, считающих, что формирование племен апсуд и адыгов происходило на территории их современного расселения. Таким образом, переселение этих племен из каких-то районов, расположенных далеко на юге - исключается.

Ниже мы подробно коснемся племен касков. Несмотря на то, что со времени опубликования хеттских клинописных текстов, содержащих богатые сведения о касках, довольно много стало известно о них, отдельные вопросы их истории все же остаются неясными. Это особенно касается этнического происхождения интересующих нас племен.

Каскские племена обозначены в хеттских клинописных текстах термином "каска" ("кашка"), написание которого в этих источниках передается по-разному: Kaška, Qašga, Qašqa, Qaška, Kašqa и т.п. В других древневосточных

* В трудах вышеназванных ученых действительно обращается внимание на отдельные топонимы из районов, расположенных гораздо южнее от современного расселения абхазов (в особенности, топонимы с суффиксами -пс-). Такие топонимы, как известно, по происхождению считаются абхазско-адыгскими. Однако, появление отдельных таких топонимов на той или иной территории вовсе не является доказательством того, что вся эта территория была населена исключительно абхазско-адыгскими племенами. По нашему мнению, существование таких топонимов является доказательством того, что порой действительно имело место переселение отдельных групп этих племен к югу, где позднее, по всей вероятности, они смешивались с местным коренным населением, вследствие чего оставались лишь их отдельные топонимы (таких примеров немало). Что касается народных преданий позднейших времен, то по ним невозможно убедительно судить о переселении племен из "гораздо южных районов," которое могло иметь место в древневосточную эпоху.

письменных источниках названия этих племен переданы следующим образом. В египетских иероглифических текстах: Kškš (Kaškaš); в одном тексте Эль-амарнского архива: Gašgaia; в среднеассирийских текстах: Kaskaia; в новоассирийских источниках: Kaška, Kasku, Kašku; в угаритских текстах: kīkum. Синоним (вариант) термина "Каска" в древневосточных текстах обычно не упоминается (кроме одного случая, о котором речь идет в другой нашей работе - Гюргадзе, 1998, с. 15-20). Можно только предположить, что термин "Каска" является также самоназванием (автоэтнонимом) этих племен, которым обозначали эти племена соседние или несоседние каским народы. Тут же заметим, что этимология слова "каска" - не известна. По созвучию это слово близко стоит с хеттским (протохеттским) словом kasku, обозначающим "луну" (хетт. arma-).

В хеттских текстах от термина "Каска" происходят формы: "племя / племена касков" ("каска-племя", "каска племена"); "страна касков", "человек из Каска" - "каскаец", "каскаейцы", "войны касков" / "войны страны касков" "каскаейский враг" ("каска-враг"), "божества касков" и т.п.

Термин "Каска" не обозначал одно какое-либо конкретное племенное объединение, он был общим названием племен, проживавших, как известно, к северу и северо-востоку от Хеттского царства. Как было отмечено выше, территориально это Понт позднейшего периода и прилегавшие к нему с востока (границы распространения касков к востоку точно не установлены, предположительно они достигали районов совр. Эрзинджана). Распространение территории касков к западу от р. Марассантия, т.е. совр. Кызыл-Ирмака (Галиса классической эпохи), в частности, до Пафлагонии, по нашему мнению, неоправдано.

Согласно некоторым хеттологам, каскские племена проживали в соседних с хеттами районах лишь со времен Древнего царства хеттов, в частности, с периода правления царя Хантили I (ок. XVI в. до н.э.), ибо в одном из текстов, составленных от имени этого царя, каски упомянуты впервые. Однако часть ученых не разделяет такого мнения по той причине, что упоминание касков в более ранних хеттских текстах не является убедительным аргументом для утверждения отсутствия этих племен в Анатолии. В древнехеттских текстах нет речи и о названиях многих других племен или стран Малой Азии, однако их существование в Анатолии с более раннего времени не вызывает никаких сомнений. Каски проживали в районе Понта и в более ранние периоды. Засвидетельствованные в хеттских клинописных текстах факты, согласно которым на территории касков находились пункты явно хеттского

происхождения, дают основание предположить, что с ранних времен каски проживали к востоку от Понта, или же на его восточной периферии (возможно, до истоков р. Чорохи), откуда они постепенно должны были распространиться на запад после слияния хаттских племен с индоевропейскими племенами. Именно этим следует объяснить то, что часть каскской ономастики, в особенности, топонимики, является хаттской по происхождению. Относительно переселения касков из какого-то отдаленного района или в какие-то другие места в хеттских, как и в других древневосточных источниках, не сохранилось никакого указания. И этот факт дает нам основание предположить, что каски являлись автохтонными, коренными племенами Северо-Восточной Анатолии.

Вопрос этнической принадлежности касков неясен и поныне. В связи с этим в научной литературе высказан ряд предположений. Согласно одному из них, каски должны были быть если не хаттами (протохеттами), то родственными им племенами. Второе предположение подразумевает, что касков мы должны связывать, как было отмечено выше, с племенами, жившими на Северо-Западном Кавказе, в частности, с абхазско-адыгскими племенами. Не исключается и третье предположение (как мы выше уже отмечали), согласно которому каски должны были быть коренными племенами, жившими на севере и северо-востоке Анатолии.

Рассмотрим каждое предположение в отдельности.

Изучение каскской ономастики, засвидетельствованной в хеттских клинописных текстах, в середине 50-ых годов привело нас к той мысли, что определенная часть ономастики, в особенности, топонимики, являлась хаттской по происхождению. Это не является неожиданным, так как каски занимали часть территории, населенной когда-то хаттами, где эти последние должны были оставить древнейшие их топонимы после того, как каски распространились в западном направлении. Однако мы еще тогда отмечали (Гиоргадзе, 1961, с. 209-210), что данное обстоятельство не было достаточным для установления родства между касками и хаттами. Для решения этого вопроса было необходимым выявление общей природы каскского языка, что тогда являлось невозможным. Это не доказывается и сегодня: не подтверждается тождество касков с хаттами хотя бы по той причине, что по уровню общественного развития они находились на совершенно разных ступенях - если хаттское общество можно рассматривать как общество типа города-государства, т.е. как раннеклассовое, то каски в этом отношении были явно отсталыми. Согласно одному хеттскому тексту из "Анналов" Мурсили II, каскам не было известно "господство одного (человека)", т.е. царствование.

хотя они уже начинали процесс такого "господства" (при одном из их правителей - во время Пихунии из каскской страны Типии).

Связь касков с Северо-Западным Кавказом обусловлена в основном тем, что название "Каска / Кашка" выявляет звуковую близость с названием, обозначающим черкесов (адыгов), т.е. с "Кашаг", которое в письменных источниках средневековья передавалось следующими формами: "Касахия" византийских авторов (Епифаний - рубеж VIII-IX вв.; Константин Багрянородный - X в.), "Кашаг" ("Кашакия" в арабских источниках, у Масуди - X в.), "Касоги" древнерусских текстов ("Повесть временных лет" - 1113 г.), "Кашоги" "Кешиги" (в древнегрузинских источниках - Джавахишвили, 1950, с. 273 и т.д.* С филологической точки зрения, внешнее сходство термина "Каска/Кашка" хеттских текстов с вышеуказанными названиями средневековых источников, конечно, допустимо, несмотря на большой разрыв в пространстве (прибл. 3000 км) и во времени (минимум 20 веков). Именно на сходстве этих названий построено широкораспространенное мнение о тождестве касков хеттских и ассирийских источников с черкесскими (адыгскими) племенами - с кашагами (также как и, согласно некоторым ученым, абешлайцев ассирийских клинописных текстов - с апсилами, с теми же апсуйцахи, т.е. с современными абхазами - подробно об этом Гиоргадзе, 1998, с. 15 и сл.; Гиоргадзе, 1999, с. 45 и сл.). Однако, возникает вопрос: насколько правомерно отождествление этих племен на основании лишь предполагаемой идентичности терминов "Каска / Кашка" и "Кашаг"? Нам кажется, что это не должно быть решающим аргументом при выявлении реальной идентичности касков и черкесов (также как и для некоторых далеко идущих выводов, исходящих из отмеченного. Об этом - в другом месте). Совершенно не исключено, что сходство этих терминов является случайным. В научной литературе уже обращено внимание на тот факт, что термин "Каска / Кашка" хеттских источников имеет сходство с названиями племен (или народов) разных эпох, живших в разных регионах мира, например, в Африке (Камеруне - племя "Kaska"), в Европе (лат. Casca), в Азии (племена в Индии под названием "Gaška"), в позднейшей Малой Азии: "Болетасгус" (к северу от Анкары), "Кеккос" (в Памфилии) и т.д. (подробно см. E. von Schuler, 1965, с. 88-89).

Известно немало примеров, согласно которым идентичный по форме

* Подробнее см. Волкова, 1973, с. 19-22. Следует заметить, что согласно мнению Н. В. Волковой, предполагаемая генетическая связь между терминами "Касаг" и "Кашк" исключена. Там же, с. 22, прим. 9.

одни и тот же термин употреблен для обозначения народов древнего мира совершенно разного происхождения. Таковыми являлись: ахейцы Греции и ахейцы Причерноморья, ливийские махли и махли Меотиды, фесалийские албаны и албаны Кавказа, иберы Пиренейского полуострова и иберы в Грузии и др. (см. Вацакидзе, 1993, с. 58).

Если допустить, что сходство терминов "Кашка / Каска" хеттских источников и "Кашаг" Северо-Западного Кавказа средневековья являются случайными, то это может быть подтверждено и предположением, согласно которому этноним "Кашаг", распространенный на Северо-Западном Кавказе, принадлежит к местным этнонимам, производным с помощью суффикса -г-, таким как "Саниг", "Пачаниг", "Абазг" и т.п. В этих этнонимах не является ли суффикс -г- местным, точнее, индо-иранским по происхождению? (Согласно мнению М. Андроникашвили "Кашаг" обозначал "кабардинца", т.е. в данном случае окончание -г- выступает в роли суффикса, указывающее на происхождение - Андроникашвили, 1966, с. 118). Топонимы с суффиксами -г- много раз засвидетельствованы в осетинском: "Туаллаг" - "из Туали", "Куданраг" - "из Кударо, кудароец", "Джаукомаг" - "из Джавы", "Хусаираг" - "южанин" и мн. др. (Итонишвили, 1995, с. 67-69).

Таким образом, кроме внешнего сходства названий "Кашка" и "Кашаг" какая-либо другая связь между касками и проживавшими на Северо-Западном Кавказе племенами не выявлена. Поэтому, мнение о генетической связи касков с абхазско-адыгскими племенами, как это предполагается и сегодня (История Абхазии, 1991), мне кажется неубедительным, тем более, что каски, по моему мнению, должны быть рассмотрены как автохтонное население северо-восточных районов Малой Азии (Понта и прилегающих к нему районов). Как было отмечено выше, не существует никакого надежного материала, подтверждающего переселение каскских племен в хеттскую эпоху из каких-либо отдаленных районов.

Все сказанное выше приводит нас к мысли о генетической близости каскских племен с племенами другого происхождения. В этом отношении должны быть перспективными поиски генетических связей с древне-колхскими (т.е. западно-картвельскими, мегрело-лазско-сванскими), в особенности, южноколхскими племенами, жившими в античную эпоху именно в восточных районах Понта и по соседству с ними в восточном направлении. В связи с этим обращают наше внимание топонимика, собственные имена касков, отдельные каскские слова и т.д. (E. von Shuler, 1965, с. 89-100), датируемые XV-XIII веками до н.э. Весь этот материал с интересующей нас целью пока никем не был использован.

Ниже приводим соответствующие материалы.

Каскская топонимика хорошо отражена в хеттских клинописных текстах. В первую очередь, вызывает интерес географические названия, оканчивающиеся на суффикс -ia: Asaḫraia. Elluria (Illuria), Kaḫaria. Kaškaia (Kaskaia). Patallia, Šaria (Saria), Šuḫurria (Suḫurria), Taḫantaria. Talipazia. Takasturia (Takašturia). Talmalia, Timia, Tipia, Wašḫaia (Washaia), Ziḫaria. Zitaaria. Ziaḫrzia и многие другие (В связи с суффиксом -ia каскской топонимики ср. мегрельские фамилии с суффиксом -иа: Кецбаиа. Топуриа. Багатуриа. Кантараиа. Гахараиа. Гамахараиа. Пачкориа. Шариа. Одишараиа. Кутелиа. Пипиа и т.д. (Кипшидзе, 1994, с. 423-424)*.

თუკი ჩვენ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ გასათვალისწინებელი იქნება ჩვენს მიერ ახლახან გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების ტომების ეთნიკურ ვინაობას ეხება (იხ. ნინა სტატიები). ხეთურ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენიებული ქასქების მდიდარი ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქასქების ტომები განსახილველნი არიან როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური ანუ, როგორც ჩვენ ვუნოდებთ, სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომები. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სრულიად ახლებურ დასკვნას: თუკი ხეთური წყაროების ქასქები განსახილველი იქნებიან როგორც სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომები, მაშინ ასეთსავე ტომებად უნდა ჩავთვალოთ ასურული ტექსტების ქაშქებიც („ქაშქაია“) და, მამასადადამე, აბეშლაელებიც, თუკი ასურული წყაროების „ქაშქა“ და „აბეშლა“ მართლაც სინონიმებია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული წარმომავლობის აბეშლაელები (საერთო ჯამში, აფსილებიც - „აბეშლა“ და „აფსილი“ ტერმინთა გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იმავე წარმომავლობის - სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომებია.

მაგრამ ფართოდ აღიარებული მოსაზრება „ქაშქა“ და „აბეშლა“ სახელწოდებათა იგივეობის შესახებ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. ალსანიძნავია, რომ ამ ორი ტერმინის ურთიერთდამოკიდებულების

შესახებ ამ უკანასკნელ ხანებში რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის მიერ: 1991 წელს სოხუმში რუსულად გამოქვეყნებულ წიგნში „История Абхазии“ ეს შეხედულება ოდნავ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ერთი მხრივ, აქ დაშვებულია, რომ ასურული ნყაროების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ერთი და იმავე ტომის ორი სხვადასხვა სახელწოდებაა, ე. ი. სინონიმებია. მაგრამ იქვე ამ გარემოებას უკვე სხვანაირი ინტერპრეტაცია ეძლევა, სახელდობრ, გამოცხადებულია, რომ ქაშქები არიან ადილელები (ჩერქეზები, როგორც ჩანს, „ქაშქა“ „ქაშაგის“ იგივეობის დაშვებით), ხოლო აბეშლაელები – აფხაზები, აფსუები (ეტყობა, „აბეშლა“ - „აფსილის“ იგივეობის გათვალისწინებით), ე. ი. ქაშქები და აბეშლაელები ფაქტობრივად განხილული არიან როგორც ორი სხვადასხვა, თუმცა, ახლომონათესავე ტომი (გვ. 10).

ასურული ტექსტებიდან გამომდინარე, იგივეობა „ქაშქა“ და „აბეშლა“ სახელწოდებებისა არ მტკიცდება შემდეგ გარემოებათა გამო.

ჯერ ერთი, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ასურულ ტექსტში დაშვებულია უზუსტობა, როცა ქაშქები გამოცხადებულია „ხათის ქვეყნის მეომრებად“. ეტყობა, ასურული ტექსტის შემდგენლისათვის ცნობილი არ იყო, რომ ქაშქები ნამდვილად არ იყვნენ „ხეთები“ („ხეთი მეომრები“) და ისინი ხეთების სამეფოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილან. საუკუნეთა მანძილზე ქაშქები ხეთების სერიოზული მეტოქენი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხეთები მათთან სამშვიდობო ხელშეკრულებებსაც სდებდნენ. ასურული ტექსტების შემდგენელი ამ შემთხვევაში უზუსტობას იჩენს, მით უმეტეს, რომ ამ ტექსტების შედგენის დროს ხეთების სახელმწიფო საერთოდ აღარ არსებობდა.¹¹ მართალია, მოგვიანო ხანებში, განსაკუთრებით ძვ. წ. IX საუკუნიდან, ასურულსა და ურარტულ ლურსმულ წარწერებში „ხათი“ („ხათე“) ეწოდებოდა საერთოდ მდ. ეფრატის დასავლეთით მდებარე სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებას⁶, მაგრამ ეს ვითარება

დასტურდება, როგორც ჩანს, მხოლოდ მოგვიანო ხანებისათვის. ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში „ხათი“ სახელწოდებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ასე ფართო მნიშვნელობა, იგი მხოლოდ ხეთების სამეფოს მიმართ იხმარებოდა.

მეორე. ზემოხსენებულ ასურულ ტექსტებში აგრეთვე უზუსტობა უნდა იყოს დაშვებული ურუმაელთა მიმართაც, რომლებიც ასევე „ხათის ქვეყნის მეომრებად“ არიან გამოცხადებულნი. როგორც ცნობილია, ურუმაელები ხეთურ ტექსტებში არ მოიხსენიებიან. ერთი ასურული ნარნერის თანახმად (ARAB §447), ურუმის ქვეყანა, ჩანს, იგივე ურუმი, მდებარეობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ნაირის ქვეყნის მეზობლად. ამავე სახელწოდებიდან უნდა იყოს ნარმომდგარი გამოთქმა „ურუმის ხე“. ARAB §236 ტექსტიდან გამომდინარე, ტიგლათფალასარ I, იმყოფებოდა რა ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ამ ხეებისაგან ამზადებს ხიდებს, რომლებითაც იგი გადადის ევფრატზე, ე. ი. ამ მდინარის მარჯვენა (დასავლეთ) მხარეზე. როგორც ჩანს, ამ რაიონში ევფრატის აღმოსავლეთით მდებარეობდა ურუმის ქვეყანაც. ზოგიერთი მკვლევარი ამ ქვეყანას ათავსებს მდ. ტიგროსის ზემო სათავეებთან, ალზის, ქურულუმზის, ბით-ზამანისა და სხვა ოლქის მეზობლად. ასეა თუ ისე, ამ შემთხვევაშიც დაშვებულია უზუსტობა, რადგან მდ. ტიგროსის აღმოსავლეთი რაიონები არ შედიოდა „ხათის ქვეყანაში“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ტექსტებში ურუმაელები სულ სხვა ურუმიდან უნდა ყოფილიყვნენ, რომელსაც არც ხეთური არქივი და არც მისი თანამედროვე ასურული წყაროები არ იცნობს.

არ არის გამორიცხული, რომ ურუმაელები სემიტური, კერძოდ, არამეული წარმოშობის ტომები ყოფილიყვნენ, რომლებიც მესოპოტამიაში ჩნდებიან შედარებით მოგვიანო ხანებში (ძვ. წ. XIV საუკუნიდან). ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის არამეელები აღწევენ ჩრდილოეთ მესოპოტამიას. მათი გამოჩენა მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზეც სავსებით მოსალოდნელია.

არამეელთა მოუხსენიებლობა ადრეული ხანის ხეთურსა და ასურულ წყაროებში შეიძლება აიხსნას სწორედ იმით, რომ ისინი აღნიშნულ ხანაში არ იყვნენ გამოჩენილი ისტორიის ასპარეზზე. ტიგლათფალასარ I-ის მეფობის ხანაში არამეელთა მიერ დასახლებული ტერიტორია საკმაოდ ფართოა და, შეიძლება, ის აღწევდა ჩრდილოეთ მესოპოტამიამდეც, სადაც „არამუ“ წარმოშობის ტომები ბინადრობდნენ. ასე რომ ურუმაელთა მიკუთვნება არამეელთა ტომებისადმი დიდ სიძნელეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, მით უმეტეს, რომ ისინი ნამდვილად არ იყვნენ „ხათის ქვეყნის მეომრები“.

მესამე. ხეთური ლურსმული არქივი, რომლის ტექსტებში ქასქები მრავალჯერ მოიხსენიებიან, „აბეშლა“ სახელწოდებას საერთოდ არ იცნობს, იგი მხოლოდ ზემოაღნიშნულ რამდენიმე ასურულ ტექსტში იხმარება. სხვა დროის ასურულ წარწერებშიც ისინი არ ჩანან. თუკი ქასქები სხვა სახელწოდებასაც, კერძოდ, „აბეშლას“ ატარებდნენ, მაშინ ეს ვითარება ხეთურ წყაროებშიც სათანადოდ უნდა ასახულიყო. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში არაერთხელ გვხვდება ტოპონიმები დაწყვილებული სახელებით, მაგალითად, აცი-ხაიასა, მირა-ქუვალია, ციფასლა-ხარიათი⁷, მაგრამ „ქასქა-აბეშლა“ დაწყვილებული ფორმით ხეთურ ტექსტებში არ იხსენიება. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია „ქაშქასა“ და „აბეშლას“ მიმართ, როცა უარყოფთ ამ ტერმინთა იგივეობას. ჩანს, ასურული ტექსტის შემდგენელი ვერ ერკვეოდა საქმის ვითარებაში და ამ შემთხვევაშიც უშვებდა უზუსტობას, აცხადებდა რა აბეშლას „ხათის ქვეყნად“, რაც მცდარი დასკვნების წყარო ხდება.

შემდეგ. ტიგლათფალასარ I-ის მეფობის ხანაში შედგენილ ასურულ ტექსტთა ცნობების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ აბეშლაელები (ურუმაელებთან ერთად) ბინადრობდნენ ცნობილ სუბართუს ქვეყნის მეზობლად, საიდანაც ისინი შეიჭრნენ სუბართუში. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ARAB §226 ტექსტის შედარების

დროს ARAB §277, 311, 318 ტექსტებთან: პირველ ტექსტში, ARAB §226-ში ნათქვამია, რომ ქაშქებმა და ურუმაელებმა მიიტაცეს სუბართუს ქვეყნის დასახლებული პუნქტები (ამ უკანასკნელთა დასახლება არ არის მოცემული), ხოლო ARAB §277, 311, 318 ტექსტების მიხედვით, ურუმაელები და აბეშლაელები ერთად არიან მოხსენიებულნი. მაგრამ ამ ტექსტებში საუბარი არ არის აბაშლაელთა ზუსტი ადგილსამყოფლის შესახებ, არც ისაა აღნიშნული, საიდან აღმოჩნდნენ ისინი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექსტების იმ მითითებას, რომლის მიხედვით ისინი იყვნენ „მეომრები ხათის ქვეყნისა“ (რითაც ხაზი ესმება მიმართულებას, საიდან მოენყო ლაშქრობა). მხოლოდ ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აბეშლაელები ქაშქებთან ერთად აღმოჩნდნენ სუბართუს საზღვრებთან ხეთების ყოფილი სამეფოს/ აღმოსავლეთ პერიფერიის მხრიდან.

ამგვარად, ზემოგანხილულ ასურულ ტექსტებში დაშვებულია აშკარა უზუსტობანი, რომლებიც საფუძვლად დაედო დასკვნას „ქაშქა“ და „აბეშლა“ სახელწოდებათა იდენტურობის შესახებ. მაგრამ ამ უზუსტობათა გამო მიღებული დასკვნა, ცხადია, ვერ იქნება დამაჯერებელი. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინთა იდენტურობა, რომელიც ეყრდნობა ამ წარწერათა ცნობების მხოლოდ ფორმალურ შედარებას, არ მტკიცდება ნყაროთ/ კრიტიკული ანალიზით. აქედან გამომდინარე, ძნელია ქაშქები და აბეშლაელები ერთმანეთთან გავაიგივოთ. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ორი სხვადასხვა ტერმინია და არა ერთი ტომის ვარიანტული სახელწოდებები. // მამასადამე, ისინი ორი სხვადასხვა ტომის (ნათესაურის) აღმნიშვნელია.

თუკი ამგვარ დასკვნას მივიღებთ, მაშინ ქაშქებისა და აბეშლაელების ბინადრობა მდ. ევფრატის ზემო დინების დასავლეთით ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან ზემოხსენებული ასურული ტექსტები

ამ ტომებს (ურუმაელების ჩათვლით) აკავშირებს ხეობებთან. ქასქების მეზობლობა ხეობებთან დადგენილია მრავალრიცხოვანი ხეთური ტექსტების ცნობებით. ბუნებრივია, დგება საკითხი აბეშლაელთა ადგილსამყოფლის შესახებ⁸.

აბეშლაელთა სავარაუდო ადგილსამყოფელსა და ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით შემდეგიც უნდა ითქვას:

აბეშლაელები შეიძლება განხილულ იქნან, უპირველეს ყოვლისა, როგორც ერთ-ერთი ჩრდილო-მესოპოტამიური ტომი. ჯერ კიდევ ი. გელები „აბეშლა“ ტერმინს აკავშირებდა მესოპოტამიური წყაროების „აფიშალ“ („აბიშალ“) სახელწოდებასთან, ხოლო აბეშლაელების ტერიტორიას – მდ. ტიგროსსა და ვანის ტბას შორის მდებარე რაიონებთან⁹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვა „აბეშლა“ თავისი ფონეტიკური შედგენილობით ახლოს დგას ერთ-ერთი ასურელი მეფის სახელთან – აბიაშალ (აფიაშალ)¹⁰. იგივე სიტყვა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც *abe šalim* (მდრ. მამაკაცის სახელი *Abišalam*) და ა. შ. ამ მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება იმ ვარაუდის დაშვებაც, რომ აბეშლაელები იყვნენ სემიტური წარმომავლობის ტომები. ყოველივე ამას მივყევართ ისევე არამეელებთან, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენლები ურუმაელები უნდა ყოფილიყვნენ (იხ. ზემოთ). ამ მოსაზრებიდან გამომდინარე გასაგები გახდება, აბეშლაელები რატომ არ იხსენიებიან ადრეულ ხანის ხეთურსა და ასურულ ტექსტებში: ისინი ჩრდილოეთ შუამდინარეთში უნდა გამოჩენილიყვნენ მხოლოდ ტიგლათფალასარ I-ის მმართველობის დროისათვის. თუკი აბეშლაელებს სემიტური (არამეული) წარმოშობის ტომად ჩავთვლით, მაშინ მათი დაკავშირება ნოგვიანო ხანის აფსილებთან იქიდან გამომდინარე, რომ „აბეშლა“ სახელწოდებას აიგივებენ „აფსილთან“ (ამის შესახებ ქვემოთ), სრულიად გამორიცხული იქნება, რადგან შეუძლებელია სემიტური წარმოშობის ტომი ეთნიკურად დაუკავშიროთ აფსაზურ-ადილეური წარმომავლობის ტომს. ამავე დროს, გამართლდება ვარაუდი, რომ

„ქაშქა“ და „აბეშლა“ ორი სხვადასხვა, თუმცა ურთიერთმონათესავე, ტომის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება იყოს და ა. შ. მაგრამ აბეშლაელებთან დაკავშირებით შეიძლება გააოთქვას სხვა მოსაზრებაც, რომელსაც მცირეაზიურ სამყაროში გადავყავართ.

როგორც დავინახეთ, აბეშლაელები ჩნდებიან ასურულ წყაროებში ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ წყაროებში. ამ დროისათვის, როდესაც ხეთების იმპერია უკვე აღარ არსებობდა (განსაკუთრებით ძვ. წ. XI საუკუნის დასაწყისისათვის) ინყება სამხრეთისაკენ გავრცელება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა, რომლებიც ადრეულ ხანებში ცხოვრობდნენ ხეთების სახელმწიფოდან ჩრდილო-აღმოსავლეთ (კერძოდ, პონტოს) ან აღმოსავლეთ რაიონებში. ანის უტყუარი მაგალითია ქასქები, რომლებიც ხეთების იმპერიის დაცემისთანავე დაიძრნენ სამხრეთისაკენ (ან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) და დასახლდნენ სადაც ქ. მალატიას მახლობლად.

სწორედ ამ პერიოდისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, რომლებიც მანამდე ძველღმოსავლურ წყაროებში არ იხსენიებიან. ერთ-ერთ ასეთ ტომად უნდა მივიჩნიოთ ქართველური წარმოშობის მუშქები; მათ მიიტაცეს ასურეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიისა – ალზი და ფურულუმზი, ბოლო შემდეგ – ქათმუხიც და 50 წლის განმავლობაში ბატონობდნენ მათზე (ცხადია, ეს ფაქტიც დამადასტურებელია იმისა, რომ მუშქები იმხანად ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებთან ახლოს ცხოვრობდნენ)¹¹. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოსახლებულ ტომებს შეიძლება დავუკავშიროთ აბეშლაელებიც, რომლებსაც უნდა ეცხოვრად ქასქების მეზობლად აღმოსავლეთი მხრიდან, რის გამოც ისინი (ისევე, როგორც მუშქები) არ იმყოფებოდნენ ხეთებთან კონტაქტში (შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ იხსენიებიან ისინი ხეთურ წყაროებში). ქასქების სამხრეთისაკენ დაძვრის შემდეგ აბეშლაელებიც, ასევე იღებდნენ რა მონაწილეობას ამ პროცესში

(მუშქებთან ერთად), იძვრებიან სამხრეთისაკენ და ლაშქრობებს აწყობენ სუბართუმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქასქები (ქაშქები), აბეშლაელები და მუშქები ერთი დიდი რეგიონის შემადგენლობაში მყოფი ეთნოსები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე ისინი, შესაძლოა, ურთიერთმონათესავე ტომებიც იყვნენ. მუშქები რომ ქართველურ ტომებს განეკუთვნებოდნენ, ამაში დაეჭვება ახლა ძნელია. ქასქებთან დაკავშირებით ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისინი სამხრეთ კოლხური (კერძოდ, დასავლურ ქართველური, მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს ასევე კოლხური (დასავლურ ქართველური) წარმოშობის ტომებთან.

ამგვარად, ორი სხვადასხვა გზით მივიღვართ ერთსა და იმავე დასკვნამდე: ასურული ლურსმული წყაროების „ქაშქებსა“ და „აბეშლაელებში“ შეიძლება დავინახოთ დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები, რომელთა იდენტიურობა უნდა იყოს ნაგულისხმები ტიგლათფალასარ I-ის ზემოგანხილულ წარწერებში.

აბეშლაელთა ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული. მაგალითად, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ტერმინები „აბეშლა“ და ანტიკური ხანის ავტორთა „აფსილი“ სინონიმებია. აქედან გამომდინარე კი აბეშლაელები და აფსილები ერთმანეთთანაა გასაიგივებელი, მაშასადამე, აბეშლაელები – იგივე აფსუა ტომებია. მაგრამ ასეთი იდენტიფიკაცია მიგვაჩნია ასევე ჰიპოთეტურად თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ისიც დამყარებულია სულ სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის მხოლოდ და მხოლოდ ორი ტერმინის - „აბეშლა“ და „აფსილის“ ფონეტიკურ მსგავსებაზე. სხვა დამატებითი საბუთი დღემდე არ არსებობს.

ფონეტიკური შემადგენლობა ფორმით მსგავსი ეთნონიმებისა, თითქოს, ხელს არ უშლის დავუშვათ მათი იგივეობაც: დასაშვებია, რომ

„აბეშლა“ ტერმინის -ლა სუფიქსი (თუკი იგი მართლაც სუფიქსია) იგივეა, რაც „აფსილ“ სიტყვის -ილ სუფიქსი (თუკი ესეც სუფიქსია), ხოლო დარჩენილი ძირები „აბეშ-“ და „აფს-“ ერთმანეთის იდენტურია, მაგრამ ყოველივე ამას დამტკიცება სჭირდება, რაც ჯერჯერობით არავის გაუკეთებია. აბეშლაელებისა და აფსილების (ე. ი. აფხაზების, აფსუების - როგორც ამას ვარაუდობს არაერთი მკვლევარი) გაიგივება დღემდე არ მტკიცდება სხვა რაიმე დამატებითი ფაქტებით. ამიტომაც ივარაუდება, რომ ისინი განსახილველია, როგორც ორი სხვადასხვა ტომი. ჩვენთვის ბომ ცნობილია, როდესაც ფორმით იდენტური ეთნიკური სახელწოდებები ზოგჯერ აღნიშნავენ ნარმოშობით არამონათესავე ეთნოსებს. (|

მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თუკი მაინც დავეშვებით, რომ „აბეშლა“ და „აფსილი“ სინონიმებია (ე. ი. აბეშლაელები და აფსილები ერთი და იგივე ტომია - ამ შეხედულებას კი არაერთი მკვლევარი უჭერს მხარს), მაშინ აფსილებიც კოლხური (მეგრულ-ჭანური) ნარმომავლობის ტომად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ზემოთ აბეშლაელები ქაშქებთან ერთად სწორედ ასეთ ტომად გამოვაცხადეთ. | ასე შემთხვევაში სიტყვა „აფსილის“ სუფიქსი -ილ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროტოხეთურ-ქართველური ნარმომავლობის | აღმნიშვნელი -ელ სუფიქსი¹², ხოლო „აფსილ“ ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „აფს-ელი“ „აფს-იდან მომდინარე“ (მდრ. ქაშქების საკუთარი სახელი „ქაქაილ“, ე. ი. „ქაქელი“ და ა. შ.).

აი, ასე გვაქვს ნარმოდგენილი ასურული ლურსმული ტექსტების „ქაქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულება. როგორც დავინახეთ, მოსაზრებათა ნაწილი ჰიპოთეზების დონეზეა! ნარმოდგენილი, თუმცა იმედია, მომავალი კვლევა-ძიება გარკვეულ მუქს მოფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

შენიშვნები:

1. ხეთური ლურსმული ტექსტების ქაშქებთან დაკავშირებით მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მაგალითისათვის იხ. Г. Г. К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий. ПС, I. М., 1961; Schuler von E. Die Kaškäer. Berlin. 1965.
2. ამ შეხედულებას ადრე მეც, ისევე როგორც სხვა მკვლევრებიც, ვიზიარებდი.
3. АКА 48 II 100-102; III 1.
4. АРАВ §§226, 318; იხ. აგრეთვე იქვე §§227, 311. ამ ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ინგლისური თარგმანი სიტყვებისა „ხათის ქვეყნის მეომრები“ და გამოტოვებულია სიტყვა „ურჩი“.
5. Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми. 1976; Инал-ипа Ш. Д. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми. 1976 და სხვ.
6. Меликишвили Г. А. Наирн-Урарту. Тб., 1954, გვ. 253, 435; მისივე. УКН, გვ. 429.
7. Garstang J., Gurney O. R. The Geography of the Hittite Empire. London. გვ. 29, 32, 83, 85, 92 და სხვ.
8. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „История древнего Востока“-ს II ტომში (1988. გვ. 119) აბეშლაელები განხილული არიან როგორც აღმოსავლელი ქაშქები. ე. ი. აბეშლაელები გაიგივებულია ქაშქებთან, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ვარიანტებია. 1991 წელს გამოქვეყნებულ „История Абхазии“-ში (იხ. ზემოთაც) სულ სხვა აზრია. გატარებული: ქაშქები არიან ადიღეელები, ხოლო აბეშლაელები – აფხაზები.
9. Gelb I. Inscription from Alishar and Vicinity. Chicago. 1935. გვ. 6, შენ. 62.
10. История древнего Востока. II, გვ. 25.
11. Хазарадзе Н. В. Очерки древней истории месхов. Тб., 1992. გვ. 69 და შმდ.
12. თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან. „მაცნე“ ისტორიის... სერია. N2. 1992. გვ. 8. შენ. 4; -ილ სუფიქსთან დაკავშირებით იხ. მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. „მაცნე“. ისტორიის... სერია. 1992. N2. გვ. 50.

დამატება – Дополнение

ხეტივსა და ქასქვს შორის დადებული ხელშეკრულებები

(ზოგადი მიმოხილვა)

ხათუსას (ხეთების დედაქალაქის, თანამ. ბოლაზქოის) მდიდარ ლურსმულ არქივში შემონახულია მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებთან ხეთების მიერ დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებდნენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. ხელშეკრულებათა ნაწილი შედგენილი იყო პარიტეტის, ნაწილი კი ვასალიტეტის პრინციპით.

პარიტეტის საწყისებზე შედგენილი ხელშეკრულების ნიმუშია ხათუსილი III-სა და ფარაონ რამსეს II-ს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთი ადრეული სამშვიდობო ხელშეკრულებაა.

ვასალურ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულება იწყებოდა პრემბულით, რომელშიც აღინიშნებოდა ხელშეკრულების დამდები ორი ქვეყნის ურთიერთობათა წინაისტორია. შემდეგ გადმოიცემოდა ძირითადი ვალდებულებანი: დაპყრობილი ქვეყნის მეფე კისრულობდა რეგულარულად მიენოდებინა ხეთებისათვის მეომრები (ზოგჯერ საბრძოლო ეტლებთან ერთად), სისტემატურად ეხადა ხარკი, დროულად ეცნობებინა ხეთების მეფისათვის მტრის მოულოდნელ გამოჩენა, ანდა მის წინააღმდეგ შეთქმულება, ხეთებისათვის დაებრუნებინა ლტოლვილნი და ა. შ. თავის მხრივ ხეთების მეფე ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა ვასალს მტრის გამოჩენისას. ხელშეკრულებაში ხშირად მოხმობილი იყვნენ ღვთაებანი, მოჰყავდათ წყევლის ფორმულა და სხვ!

სახელმწიფო ხელშეკრულებები ორ ენაზე იღებოდა. უშუალო მეზობლებთან - მცირეაზიულ სამეფოებთან (ან დიდ სატომო

სახელმწიფო ხელშეკრულებები ორ ენაზე იდებოდა. უშუალო მეზობლებთან – მცირეაზიულ სამეფოებთან (ან დიდ სატომო გაერთიანებებთან) ხეტები ხელშეკრულებას აფორმებდნენ, როგორც ნეაი, იეთურ ენაზე (იშვიათ შემთხვევაში – ხეთურად ან აქადურად), ხოლო არამეზობლებთან – აქადურად ან აქადურად და ხეთურად, რაც სავსებით გასაგები იყო: აქადური ენა მთელ ძველ წინა აზიაში ითვლებოდა საერთაშორისო ოფიციალურ ენად (ასეთად ანატოლიაში უნდა ყოფილიყო, ჩვენი ვარაუდით, ხეთური ენა).

აქადურ ენაზე შედგენილი სახელმწიფო ხელშეკრულებანი, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ე. ვაიდნერს², დადებულია ეგვიპტელებთან (შემონახულია ამ ხელშეკრულების ეგვიპტური ვარიანტიც), ჩრდილოეთ სირიის ისეთ სამეფოებთან, როგორც იყვნენ უგარიითი, ამურუ, ქარგამიში (ქარხემიში), ნუხაშე, ხალაფი (ალეპო), ჩრდილოეთ მესოპოტამიის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან – მითანისტან. ამ ხელშეკრულებათაგან ზოგიერთი შედგენილი იყო ხეთურ ენაზეც (ამურუსთან, მითანისტან).

ხეტების მეზობელ სამეფოებთან, ისევე როგორც ძლიერ ტომობრძე გაერთიანებებთან, ხელშეკრულებები იდებოდა, როგორც აღწინშნეთ, ძირითადად ხეთურ ენაზე³. ასეთი ხელშეკრულებები დადებულია ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე სხვადასხვა სამეფოსთან, განსაკუთრებით არცავას ქვეყნებში, ლუვიაში შემავალ სამეფოებთან (ვილუსა, მირა-ქუვალია, ხაფალა, მდ. სეხას ქვეყანა, შესაძლოა, საკუთრივ არცავა, თუმცა მასთან დადებული ხელშეკრულება არ შემონახა), ხეტების სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან (თარხუნთასა⁴, ქიცუვათნა), მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე არსებულ სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან (აცი-ხაიასა, ისმერიქა, ფახუვა და სხვანი) და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, ხეტების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ქასქების ტომებთან. მთელი ზემოაღნიშნული უზარმაზარი ტერიტორიის მოსახლეობა ეთნიკურად სულ სხვადასხვა წარმოშობისა იყო. არცავას (ლუვიას), ისევე, როგორც ანატოლიის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე

ქვეყნები დასახლებული იყო ხეთების მონათესავე ინდოევროპელებით (ლუვიელებით). ამდენად, მათთან დადებული ხელშეკრულებების გაფორმება ხეთურ ენაზე არავითარ ენობრივ ბარიერს არ ქმნიდა. მაგრამ გაურკვეველია, თუ როგორ ხდებოდა ენობრივი ბარიერის დაძლევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხეთურ ენაზე იდებოდა ხელშეკრულებები ხეთებსა და ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, რომელთა მოსახლეობა, სავარაუდოა, არ უნდა ყოფილიყო ინდოევროპული წარმოშობისა (ქასქების ტომები, ისმერიქა, ფახუვა და სხვ.), მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ ნახელშეკრულებო კარტინორს არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა (მაგალითად, ქასქებს). ჩანს, ხეთური ენა ოფიციალურ ურთიერთობათა ენად ითვლებოდა ანატოლიაში.

ქასქების (ქამქების) ტომები ხეთების მეზობლები იყვნენ ჩრდილოეთიდან და, როგორც ვვარაუდობთ, ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც. საბლობდნენ ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანო ხანებში „პონტოს“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ჩრდილოეთიდან ქასქების ტერიტორიას შავი ზღვა ეკვროდა. დასავლეთ მიმართულებით ქასქებს უნდა მიეღწიათ თანამედროვე მდ. ყიზილ-ირმაკის (ხეთ. მარასანთას, კლას. ხანის ჰალისის) ქვემო დინებამდე⁵, სადაც ხეთურ ხანაში მდებარეობდა ცალფას ქვეყანა (აქედან წარმოდგება „ცალფის ზღვა“- შავი ზღვა). აღმოსავლეთისაკენ მათი ტერიტორია აღწევდა ხეთური წყაროების „ზემო ქვეყანამდე“, რომელსაც ემეზობლებოდა აგრეთვე აცი-ხაიასას ქვეყანა. პონტოს სწორედ ამ რეგიონს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ტერიტორია, რომელიც მოგვიანებით დასავლურ-ქართველური წარმოშობის ტომებით (ტიბარელებით, მოსინიკებით, შაკრონებით, ხალიბებით, სანებით, სასპერეებით) უნდა ყოფილიყო დასახლებული.

ხეთური წყაროების „ქასქა“ („ქამქა“) არ იყო ერთი რომელიმე ქალაქის ან ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდება. იგი კრებითი სახელი იყო საერთოდ პონტოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისა, ე. ი. „ქასქა“ ეთნიკური შინაარსის ტერმინად უნდა ჩავთვალოთ. წარ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ ქასქური წარმოშობის ტომებს გარდა, ხეთები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ პონტოში ან მის მეზობლად

მცხოვრებ არაქასქურ, სავარაუდოა, დასავლურ-ქართველური წარმოშობის ტომებსაც. ქასქები, ხეთებთან შედარებით, საზოგადოებრივი განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. მათთვის ჩვეულებრივი ყოფილა „ქასქური მმართველობა“ და არა „ერთის ბატონობა“, ე. ი. მეფობა, თუმცა მოგვიანებით ერთ-ერთ მათ ბელადს დაუნყია „მეფურად მართვაც“! ქასქურ ტომობრივ გაერთიანებებს მართავდნენ „ქასქას კაცები“ და როგორც ჩანს, „უხუცესები“ ნყაროების თანახმად, მათ ჰყოლიათ „მონები“ (არათავისუფლები) და „ბატონები“, ისევე როგორც ცალკეული მოხელენი. ისინი დასაქმებული ყოფილან მეაქონლეობითა და მინათმოქმედებით. ყოველივე ამის გამო, უმართებულ უნდა იყოს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქასქები ნომადები და ბარბაროსები ყოფილან.¹¹

ქასქები სისტემატურად არბევდნენ მათ სამხრეთით მდებარე ხეთების ტერიტორიებს და მდიდარი ნადავლით ბრუნდებოდნენ უკან. ქასქების მიერ ხეთების მოსაზღვრე რაიონების დარბევის ზოგადი სურათი ასახულია ერთ ხეთურ ლოცვაში⁷, რომელსაც ხეთების მეფე არნუვანდა და დედოფალი ასმუნიქალი (ძვ. წ. XV ს.) წარმოთქვამენ ქასქების ძალადობასთან დაკავშირებით. ტექსტის თანახმად, ქასქები ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ხეთურ ტაძრებს იმ დასახლებებში, რომლებიც, როგორც ჩანს, მდებარეობდნენ სასაზღვრო ზონაში: ნერიქს, ხურსამას, ქასთამას, სერიას, ხიმუვას, თაგასთას, ქამამას, ცალფუვას, ქაფირუხას, ხურნას, დანქუსნას, თაფასავას, თარუქას, ილალუბას, ციხანას, სიფიდუვას, ვასხაიასა და ფათალიას⁸; მიჰქონდათ და იყოფდნენ დიდ სიმდიდრეს: ოქროს, ვერცხლსა და მათგან დამზადებულ ნივთებს სპილენძისა და ბრინჯაოს ჭურჭლებს, ქაოვილებს და ა. შ. (იქვე, სტრ. 1-3); იმონებდნენ და იყოფდნენ ტაძრების მომსახურე პერსონალს (იქვე, სტრ. 4-7); იტაცებდნენ და მიერეკებოდნენ მსხვილფეხა და ნვრილფეხა საქონელს; ეპატრონებდნენ (როგორც ჩანს, საძოვარ) მინდვრებს, იღებდნენ მოსავალს და ა. შ. (იქვე, სტრ. 20-25; გვ. 158-159, სტრ. 8-11 და სხვ.); ტაძრების დაცარიელების გამო აღარავის შეჰქონდა ყოველდღიური,

ყოველთვიური და ყოველწლიური შესანიძირი (იქვე, გვ. 158-159, სტრ. 12 და შმდ.). იყო შემთხვევები, როცა ქასქები იპყრობდნენ ხეთების რელიგიურ ცენტრს - ქ. ნერიქს (იქვე, გვ. 160-161, სტრ. 6 და შმდ.), რის გამოც ხეთები იძულებული ხდებოდნენ ქ. ნერიქის ტაროსის ღვთაების შესანიძირი გაეგზავნათ ქ. ხაქმისაში (იქვე, სტრ. 5-10). ზოგჯერ ქასქების შემოსევები ხეთების დედაქალაქამდეც აღწევდა (იქვე, სტრ. 1). ყოველივე ამის გამო, ხეთები იძულებული ხდებოდნენ ქასქებისათვის საჩუქრები ეძლიათ ისე, რომ მათ ფიცს ადებინებდნენ, ხეთების ტერიტორია აღარ დაერბიათ. მაგრამ ამაოდ. საჩუქრების მიღების შემდეგ ისინი ფიცს ტყულობდნენ და ხეთებს კვლავ უტყუებდნენ (იქვე, გვ. 160-161, სტრ. 15 და შმდ.).

სწორედ ასეთი ვითარება აიძულებდა ხეთებს, ქასქებთან საერთო ენა გამოენახათ, რათა შეეჩერებინათ მათი ყაჩაღური თავდასხმები. ხშირად ლაშქრობდნენ რა ქასქების წინააღმდეგ, ხეთები ცდილობდნენ იასინი ვასალებად ექციათ და მათთან ურთიერთობა ხელშეკრულებებით განემტკიცებინათ, რასაც ზოგჯერ აღწევდნენ კიდევ. მაგრამ ხელშეკრულება იღებოდა არა ქასქების ყველა „ქვეყანასთან“, არამედ ზოგიერთთან, როგორც ჩანს, უშუალოდ მოსაზღვრე ქასქებთან, ისიც დროებით. ქასქების სხვა „ქვეყნები“ მაინც მტრულად რჩებოდნენ განწყობილი ხეთების მიმართ და ამას გამოხატავდნენ კიდევ თავისი მოქმედებით.

ბოლახოის არქივში შემონახულია ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული რამდენიმე ხელშეკრულების ტექსტი, რომლებიც ძირითადად ფრაგმენტული ხასიათისაა⁹, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი საყურადღებო ცნობებს შეიცავენ ქასქების პოლიტიკური ორგანიზაციის, სოციალური სტრუქტურის, რელიგიისა და სხვათა შესახებ. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, იმ ქასქებს, რომლებთანაც იღებოდა ხელშეკრულება, ხეთები უწოდებდნენ „მოკავშირე“ (დამეგობრებულ) ქასქებს¹⁰, ხოლო დანარჩენებს „მტრულ ქასქებს“¹¹. ჩვენამდე მოღწეული ტექსტების მიხედვით, რომლებიც ძირითადად ფრაგმენტულია, უცნობია, სახელდობრ, რომელი

დასახელების ქასქები განიხილებოდნენ „მოკავშირეებად“ როგორც ჩანს, ქასქები, რომლებთანაც არ იდებოდა ხელშეკრულება, განიხილებოდნენ „მტრებად“ სწორედ ასეთებს უნდა ეძარცვათ ხეთების მეზობელი დასახელებანი. „მოკავშირე“ ქასქების ერთ-ერთი მოვალეობა იყო (სხვათა შესახებ - ქვემოთ) „მტრულ ქასქებთან“ ურთიერთობის დამყარება იმ შემთხვევაში, როცა საქმე ხეთებს ებებოდა, ერთ-ერთ ხელშეკრულებაში შემოინახა ადგილი, რომლიც მიხედვით მეფე თავის მოკავშირე ქასქებს ეუბნება: „...ნადით და მტრულად (განწყობილ) ქასქებს უთხარით...“ (საუბარია საძოვრებზე მსხვილფეხა და ნვრილფეხა საქონლის მწყემსობასთან დაკავშირებით)¹². სავარაუდოა, რომ მტერი ქასქები უფრო მეტად ჰყავდათ ხეთებს, ვიდრე მოკავშირე ქასქები.

ხელშეკრულებას ხეთები დებდნენ ძირითადად ქასქების იმ „ქვეყნებთან“, რომელთაც ლაშქრობის შემდეგ იმორჩილებდნენ. ასეთი „ქასქა-ქვეყანა“ ხეთების მოკავშირე უნდა გამხდარიყო და ხათისაგან აღარ უნდა გამდგარიყო. ხელშეკრულება ემყარებოდა პრინციპს: „ვინც „მზის“ (ე. ი. ხეთების მეფის) მტერია - იგი თქვენი (ე. ი. მოკავშირე ქასქების) მტერია, ხოლო ვინც „მზის“ მეგობარია, ის თქვენი მეგობარია¹³. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებაში წარმოდგენილი იყო ხეთებთან დამოკიდებულების მთელი სისტემა, რომელსაც შეიძლება ვასაღური ვუნოდოთ. მასში საუბარი იყო როგორც ცალმხრივ ვალდებულებებზე, განსაკუთრებით, ქასქების მხრივ, ასევე, ორმხრივ ვალდებულებებზე, რომელთაგან გამოვყოფდი შემდეგს.

ხელშეკრულება ქასქებს ავალდებულებდა შემდეგი პირობები შეეკრულებინათ: თუკი რომელიმე „მტერი“ (იგულისხმებოდნენ ხეთებისადმი მტრულად განწყობილი ქასქები) მიუახლოვდებოდნენ ხეთების ტერიტორიას, ქასქებს მათთვის წინააღმდეგობა უნდა გაენიათ და, ამავე დროს, ყოველივე „მზისთვის“ შეეცხოვებინათ¹⁴; მოკავშირე ქასქას ტერიტორიაზე ხეთების ლაშქრის გავლისას ქასქებს მისთვის წინააღმდეგობა არ უნდა გაენიათ¹⁵, თუკი „მტერი“ ხათის ტერიტორიაზე შემოსევას აპირებდა, ქასქებს ეს „ოლქის

მმართველისათვის" უნდა ეცნობებინათ (იქვე, გვ. 119, §16); მოკავშირე ქასქას ხათის რომელიმე დასახლება თვითნებურად არ უნდა დაეკავებინა, ვინც ამას გააკეთებდა, იგი „მზის“ მტერი იქნებოდა (გვ. 122, §31, გვ. 131, §5); მას ხეთების მტრისათვის ნება არ უნდა დაერთო ქასქების დასახლებაში შემოსულიყო და მისთვის პური და წყალი მიენოდებინათ (იქვე, §32); მოკავშირე ხათის ქვეყანაში თვითნებურად არ უნდა შემოსულიყო, ამისათვის მას „ოლქის მმართველისათვის“ უნდა მიემართა (იქვე, §33). თუკი მოკავშირე ქასქელი ხათის ტერიტორიაზე შემოვიდოდა, მას უნდა ევაჭრა მხოლოდ იმ დასახლებაში, რომელსაც „ოლქის მმართველი“ მიუთითებდა, სხვა დასახლებაში მას ვაჭრობა ეკრძალებოდა (იქვე, §35; იხ. აგრეთვე გვ. 131, §4); როდესაც მტერი თავისი ძალებით ხათუსას მიუახლოვდებოდა მოკავშირის ტერიტორიის გამოვლით, მოკავშირეს მისთვის დარტყმა უნდა მიეყენებინა და ხათისათვის უნდა ეცნობებინა (გვ. 123, §37); თუკი ქასქას ქვეყნიდან რომელიმე მტერი ხათუსასაკენ გაემართებოდა, ამ მტრის მოკავშირედ არავინ არ უნდა გამბდარიყო, იგი ქასქას ქვეყანაშიც არ უნდა შეეშვათ და მისთვის საკვები არ უნდა მიეცათ (იქვე, §38); ხეთების რომელიმე დასახლების წინააღმდეგ წამოსული მტრისთვის ქასქებს ბრძოლა უნდა გაემართათ. თუ ისინი მტერს ვერ მოერეოდნენ, ხეთებისთვის მაცნე უნდა გაეგზავნათ და ხეთებისა და ქასქების გაერთიანებულ ლაშქარს ქასქების ტერიტორიაზე მტერი გაენადგურებინა (გვ. 118, §12) და ა. შ. მსგავსი მაგალითები ხელშეკრულებებში მრავლადაა მოცემული.

მოკავშირე ქასქებთან დადებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში გარკვეული ადგილი ეკავა საკითხს ლტოლვილთა (გაქცეულთა) შესახებ (სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა გაქცევა ერთი ქვეყნიდან მეორეში ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ახლო აღმოსავლეთში. მკვლევართა მიერ იგი სოციალურ მოვლენად განიხილება). რიგ შემთხვევაში ხელშეკრულებებში საუბარია ორმხრივ ვალდებულებებზე.

თუკი ვინმე ხეთების მეფეს შეურაცხყოფდა, ხოლო შემდეგ მოკავშირე ქასქას ქვეყანაში, როგორც ლტოლვილი, გაიქცეოდა,

ქაქეზა იგი უნდა შეეპყროთ და უკან დაებრუნებიანთ¹⁶. ერთ-ერთ ხელშეკრულებაში ლტოლვილთან დაკავშირებით ორმხრივი ვალდებულებებია აღნიშნული: „[თუკი ხათის ქვეყნიდან] ლტოლვილი ქაქეზის ქვეყანაში, დამეგობრებულ დასახლებაში მოვა, [თუ იგი მონაა და] თავისი ბატონის ქონება გაიტაცა, ანდა თუ იგი (სასახლის)| მოხელეა¹⁷ და თავისი ამხანაგის ქონება გაიტაცა, [მაშინ] ქონება უკან დააბრუნეთ, ლტოლვილი კი თქვენი იყოს¹⁸. ხოლო თუკი იქიდან (ე. ი. ეასქა-ქვეყნიდან) რომელიმე მოკავშირე [ხათის ქვეყანაში მოვა], თუ იგი მონაა და თავისი ბატონის ქონება გაიტაცა, ანდა თუ იგი თავისუფალი კაცია და თავისი ამხანაგის [ქონება გაიტაცა, მაშინ ჩვენ¹⁹ თქვენს] ქონებას უკან დაგიბრუნებთ, ლტოლვილს კი უკან ვერ დაგიბრუნებთ“ (იქვე, გვ. 120, §24)²⁰. იმავე ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ თუ ლტოლვილი (მტრის ქვეყნისა) ქ. ხათუსადან გარბის და მოკავშირე ქაქეზის რომელიმე დასახლებას მიაღწევს, თუკი ამ დასახლების მცხოვრები მას იპოვის და შეიპყრობს, მოკავშირემ იგი ხათუსას კი არ უნდა დაუბრუნოს, არამედ იგი იმავე მტრის ქვეყანაში უნდა გაგზავნოს²¹. მაგრამ თუკი ქაქეზის ქვეყნიდან რომელიმე ხეთი ლტოლვილი მოკავშირე ქაქეზისთან მივა, მოკავშირემ იგი ხათუსას უნდა გაგზავნოს, იგი არ უნდა შეიპყრონ და კვლავ ქაქეზის ქვეყანაში გაგზავნონ, ანდა იგი ხათის ქვეყანაში გაყიდონ (იქვე, §27). ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ასეთი შემთხვევაც: ქაქეზი, რომლებიც ხათის ქვეყანაში ლტოლვილად მოვლენ და ხათუსადან ქაქეზის ქვეყანაში ასევე ლტოლვილად წასვლას დააპირებენ, მოკავშირემ იგი ხათუსადან თავის ქვეყანაში არ უნდა წაიყვანოს. ქაქეზი, რომლებიც ხათუსაში მოვლენ ლტოლვილებად, უკან, ქაქეზის ქვეყანაში, არ უნდა დაბრუნდნენ (იქვე, §30) და ა. შ.

ხელშეკრულების დადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ურთიერთმოვალეობათა დადგენას, რომლებიც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს ეხებოდა. მტრის საქონელი მოკავშირე ქაქეზს არ უნდა შეეშვა თავის ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხათის რაზმები როგორც მტრის, ასევე მოკავშირის საქონელს გარეკავდნენ, ალბათ, ხათის ქვეყანაში²². მოკავშირის

საქონელი შეიძლება შეერიათ ხეთების საქონელთან (როგორც ჩანს, საძოვარზე), მტრის საქონელი მოკავშირეს არ შეეძლო თავისთვის გაერევა. თუკი გარეკავდა, შემდგომ კი ეს გაირკვეოდა, მას ჩამოართმევდნენ საქონელს (იქვე, §40). როდესაც ხათისა და ქასქას საქონელი ერთად ძოვდა, ამ დროს კი მტერი მოვიდოდა და საქონელს გარეკავდა, ანდა ვინმეს (ალბათ, მწყემსს) მოკლავდა, „მზე“ მოითხოვდა, რომ ხათის საქონელი ან ადამიანი (მწყემსი) მოკავშირეს აენახლაურებინა (იქვე, §41). მტრის საქონელი მას თავის ტერიტორიაზე არ უნდა შეეშვა. თუკი ქასქების (მტრის, ასევე მოკავშირის) მწყემსები ერთად აძოვებდნენ, ხათის რაზმები კი მათ ბელთ იგდებდნენ, ხეთები ნაიყვანდნენ როგორც ქასქა-მტრის, ასევე მოკავშირე ქასქების საქონელს (იქვე, გვ. 131, §6). იმ შემთხვევაში, როცა მოკავშირე ქასქებისა და ხეთების საქონელი შერეული იყო, მაშინ ორივე მხარის მწყემსები მათ ერთად მოაძოვებდნენ. თუ ქასქა-მტერი შემოიჭრებოდა, ხეთები მაშინვე მოკავშირე ქასქებს მიმართავდნენ. თუკი მტერი მოკლავდა მწყემსს (ტექსტში „კაცს“) ან საქონელს, ასეთ შემთხვევაში მოკავშირე ქასქები აანახლაურებდნენ ყველაფერს შემდეგი პირობით: ერთი „კაცის“ სანაცვლოდ 3 „კაცს“, გადაიხდიდნენ, ყოველ ხარში – 3 ხარს, ხოლო ცხვარში – 3 ცხვარს. სასტიკად ისჯებოდნენ მოკავშირენი, რომლებიც ხეთების საქონელს ერთმანეთში გაიყოფდნენ – ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიცის გატეხას ნიშნავდა, დამნაშავენი განადგურდებოდნენ „ათასღ ღვთაების“ ძალით (იქვე, 132, §9). ხელშეკრულებათა დაზიანებული ადგილებიდან ჩანს, რომ ხეთები საქონელთან დაკავშირებით სხვა ვალდებულებებსაც უყენებდნენ მოკავშირე ქასქებს²³.

ხელშეკრულებათა არაერთი მუხლი ეძღვნება მტრის უეცარი გამოჩენისაა ურთიერთდახმარების აღმოჩენას, თუმცა ეს დახმარება ძირითადად ქასქებს ევალდებოდათ. ამასთან დაკავშირებით მაგალითები ზემოთაც იყო მოტანილი. ყურადღებას იქცევს საკითხი ხეთების ლაშქრის შემადგენლობაში ქასქების დამხმარე რაზმების გაგზავნისა და ომში მონაწილეობის შესახებ, რაც სამოკავშირეო ვალდებულებებით განისაზღვრებოდა.

მოკავშირე ქასქებს დამხმარე რაზმები „მზის“ გამოძახებისთანავე უნდა მიენოდებინათ იმ რაოდენობით, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული (იხ. ქვემოთ). თანაც დამხმარე რაზმები შედგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალი ნარმოშობის მებრძოლებისაგან²⁴. არ დაიშვებოდა ხეთების მეფისთვის მონის გაგზავნა. ქასქები შინ დაბრუნდებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მზე“ ლაშქრობიდან შინისაკენ გამოემართებოდა²⁵. ერთ-ერთი ხელშეკრულების მიხედვით, ქასქების დამხმარე რაზმებს ხეთები იუცნებდნენ ორი ან სამი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც მათ შინ უშვებდნენ (იქვე, გვ. 109, §2). ეს ხდებოდა მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ომს ანარმოებდნენ, ე. ი. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო მოკავშირე ქასქას მიერ გასაგზავნ დახმარე რაზმებში მეომართა რაოდენობა. მათი რიცხვი სხვადასხვა იყო, რაც გასაგებია: მეომართა რაოდენობის განსაზღვრა დამოკიდებული იყო დასახლებაში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვზე. ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც ხეთების მეფესა და ქასქებს შორის იყო დადებული (იქვე, გვ. 109), შემდეგი სურათია ასახული: რომელიღაც 4 დასახლებიდან საჭიროების შემთხვევაში ხეთებისათვის უნდა გაეგზავნათ 40 მეომარი (იქვე, §6), თექვსმეტს დასახლებიდან – 20 კაცი (აქედან 11 მეომარი სახელებითაა მოხსენიებული, იქვე, §11), თალმალისაგან – 7 მებრძოლი (ორი მათგანის სახელი შემორჩენილია), იოლო იახრესაგან – 4 (იქვე, §12 და §13). იმავე ტექსტის სხვა ადგილას საუბარია 20 მებრძოლზე (იქვე, §14), ხოლო შემდეგ სახელებით და ზოგიერთი მამის სახელით მოხსენიებულია 9 კაცი სადღუფას დასახლებიდან (იქვე, გვ. 112, §15). ტექსტში საუბარი უნდა ყოფილიყო სხვა დასახლებებსა და მათ მეომრებზე, მაგრამ ტექსტი დაზიანებულია (ვალდებულება გასაგზავნ მეომართა რაოდენობის შესახებ ფიცით მტკიცდებოდა).

საინტერესო ცნობებს შეიცავს ხეთების მეფე არნუევანდას (III-ის) მიერ ქასქებთან დადებული ხელშეკრულება²⁶. ტექსტი საკმაოდ დაზიანებულია, თუმცა აქა-იქ შემორჩენილი სტრიქონების მიხედვით,

მასში რამდენიმე ადგილას უნდა ყოფილიყო საუბარი ქასქების დამხმარე რაზმების რაოდენობის შესახებ. მაგალითად, შემორჩა ასეთი ადგილი: „ქანუ-[...] და მასთან ერთად 190 მეომარი, კაცები [რომელიც დასახლებისა] საუსქა [...] და მასთან ერთად 216 მეომარი, კაცები [ამა და ამ დასახლებისა]“; „ნანაცითი, (რომელიც არის) ფიქურიალი (?), კაცი იხუფითადან და მასთან ერთად 5 კაცი“ (რომელიც დასახლებიდან)²⁷ როგორც ჩანს, სახელობით მოხსენიებული პიროვნებები რაზმების მეთაურები უნდა ყოფილიყვნენ²⁸.

მსგავსი ადგილები შემორჩენილია აგრეთვე ქასქებთან დადებული დასახლებიდან 21 მეომრის („კაცის“) გამოყვანის შესახებ (იქვე, გვ. 140, წგ 1-4). ანალოგიური მაგალითებია მოყვანილი სხვა ტექსტების ფრაგმენტებშიც, რომლებიც ასევე ხეთებსა და ქასქებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა ცალკეულ ადგილებს უნდა წარმოადგენდეს²⁹. ისინი შედგენილია ტრაფარეტული ფორმით: რაზმის მეთაურის სახელი, მისი წარმოშობის ადგილი, („მასთან ერთად“) მეომართა რაოდენობა. ერთ-ერთ ფრაგმენტში შემორჩენილია „111 კაცი“, შემდეგ კი - „19 კაცი“³⁰. იმავე ტექსტის სხვა ადგილას დასახლებულ 6 რაზმის მეთაურთაგან ოთხს ერთნაირი სახელი ჰქვია: „სუნაილი“, რომლებიც სხვადასხვა დასახლებებში ცხოვრობდნენ. 6 დასახლებიდან უნდა გამოეყვანათ „59 (?) კაცი“ - მეომარი (იქვე, გვ. 141-142, სტრ. 1-18). ერთ პატარა ფრაგმენტში 16 ასეთი „კაცია“ დასახლებული (იქვე, გვ. 142, ფრაგმენტი ხ, სტრ. 4,8).

იმავე ტიპის წარწერებს განეკუთვნება კიდევ ერთი ტექსტი (იქვე, გვ. 142 და შმდ.), რომლის მარჯვენა მხარე, სადაც დასახლებებია ჩამოთვლილი, არ შემოინახა, თუმცა მისი მარცხენა მხარე სწორედ ჩვენთვის საინტერესო მაგალითებითაა სავსე (უმეტეს დასახლებათა სახელების მხოლოდ დასაწყისი ნაწილებია შემორჩენილი). სავარაუდოა, რომ ამ დასახლებათა ნაწილი მაინც ქასქურია, მით უმეტეს, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ ფრაგმენტში ნამდვილად ქასქებზეა საუბარი. ვინმე თუთუ მოხსენიებულია აშკარად ქასქური ტერმინით, რომელიც ამ პიროვნების სპეციალობის ან თანამდებობის

აღნიშნული უნდა იყოს: „თუთუ“, (რომელიც არის) ფიფალა³¹. გარდა ამისა, ზოგიერთი ტომონიმიც ქასქურია (ხაისებლა, ქამამა - იქვე, გვ. 142-145).

აღნიშნული ტექსტის მიხედვით, დასახლებებს განსაზღვრული ჰქონდათ გასაგზავნ მემართა რაოდენობა. ზოგიერთ მათგანს უნდა მიენოდებინათ ხეთებისათვის 5, 6, 8, 9 მებრძოლი, ხოლო ზოგიერთებს ათ-ათი, ან 20, 30, 50, 60, 100 და ა. შ. მემართი³², ტექსტის ერთ-ერთ ადგილას, შემაჯამებელ ნაწილში აღნიშნულია: „სულ 6035 მემართი... ევეყნია“ სამნუხაროდ, ქვეყნის სახელი არ შემორჩა³³. არ არის გამორიცხული, რომ აქ „ქასქა“ ან ქასქების რომელიღაც დიდი ქვეყნის საბელია აღსადგენი. ყურადღებას იქცევს ტექსტში დასახლებული რაოდენობა მემორებისა - 6035, რომლებიც ერთი რომელიღაც ქვეყნიდან უნდა გამოეყვანათ. თუკი სხვა ვასალური ქვეყნებიდანაც ნეტნაკლებად ასეთსავე რაოდენობის მებრძოლებს ანვდიდნენ ხეთებს, მაშინ ხეთების ლაშქარს მემართა სიმცირე არ უნდა განეცადა, მით უმეტეს, რომ საკუთრივ ხეთური დასახლებებიდანაც მემართა დიდი კონტინგენტები იგზავნებოდა.

ქასქებთან დადებულ ხელშეკრულებათაგან თავისი ფორმითა და შინაარსით გამოირჩევა ხელშეკრულება, რომელიც ხათუსილი III-მ (ძვ. წ. XIII ს.) დადო ქ. თილიურასთან და მის ირგვლივ მდებარე დასახლებათა „კაცებთან“, „ხათის კაცებთან“ და „ქასქას კაცებთან“ ხელშეკრულება დადებულია სამ მხარეს შორის (თილიურა - ხათი - ქასქა), მაგრამ ტექსტში ძირითადად ქასქების მოვალეობაზეა საუბარი³⁴ ტექსტში არ არის მითითებული, სახელდობარ, რომელ ქასქებს ეხებოდა საქმე, იგულისხმება მხოლოდ, რომ ისინი ქ. თილიურას მეზობლები უნდა ყოფილიყვნენ³⁵.

ხელშეკრულებაში ქასქებისადმი შემდეგი პირობებია ნამოყენებული: შეიარაღებული ქვეითი ან ეტლოსანი ქასქელი ქალაქში (ე. ი. თილიურაში) არ უნდა შესულიყო. თუ ქასქელი ეტლოსანი „ქვეყნის ბატონს“ (იგულისხმება მაღალი რანგის ხეთი მოხელე) თან ახლდა, სანამ ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდებოდნენ, იგი ეტლიდან

უნდა ჩამოსულიყო და უკან გაბრუნებულიყო, ქალაქში არ უნდა შესულიყო³⁶.

იმ შემთხვევაში, თუკი ქასქელი თილიურაში მცხოვრებ ქალს ითხოვდა, მათ ქალაქი უნდა დაეტოვებინათ. თუკი ამ ქალაქში რომელიმე ქასქელი ღამეს გაათევდა და ეს ცნობილი გახდებოდა, იგი დილეგში უნდა ჩაეგდოთ, შემდეგ კი დაეჯარიმებინათ (ხარებითა და ცხვრებით). თუ იგი რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა ან ბოროტ სიტყვას წარმოთქვამდა, ასეთი ქასქელი უნდა მოესპოთ. აკრძალული იყო ქასქელი მონა კაცისა და მონა ქალის გაყიდვა, მყიდველს მას ქალაქში არ შემოაყვანიებდნენ და ქალაქის გარეთ დატოვებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაყიდი მონა საქონლის სადგომში უნდა მოეთავსებინათ. თუკი ვინმეს მონა კაცი ან მონა ქალი ქასქას ქვეყნიდან ქალაქის (- თილიურას) კარიბჭეს მაინც გადალაზავდა, მას შეიპყრობდნენ, როგორც დამნაშავეს³⁷.

ხარებისა და ცხვრების მწყემსებს, ასევე მინის დამმუშავებლებს, ქასქებისთვის არ უნდა მიემართათ, ვინც მიმართავდა, მას შეიპყრობდნენ, როგორც დამნაშავეს³⁸.

თუკი თილიურას რომელიმე მცხოვრები ქასქების მხარეს დაიჭერდა, მისი სახლი და მინა ცოლებიანად და ბავშვებიანად ქალაქის საკუთრება გახდებოდა³⁹.

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ ქასქებს არ ეკისრებოდათ ის ვალდებულებანი, რომელთა შესახებ სხვა ხელშეკრულებაშია საუბარი. ტექსტში მხოლოდ ერთი მხარე ჩანს - ქასქები. ხეთები, უშუალოდ თილიურები, თითქმის არავითარ ვალდებულებას არ იღებდნენ. ხელშეკრულების მიხედვით, ეასქებისადმი განსაკუთრებული სიმკაცრეა გამოჩენილი, რაც ტექსტის მკაცრი ტონითაც იგრძნობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელშეკრულებაში იგულისხმებიან არა ქასქები საერთოდ, არამედ მხოლოდ ქ. თილიურას მეზობელი ქასქები, რომელთაც რაღაც მიზეზის გამო საკმაოდ მკაცრად ეპყრობოდნენ. არ არის გამორიცხული, როგორც ამას ადრეც ვარაუდობდნენ, რომ თილიურას მეზობელ ქასქებში ხათუსილის დროს გავრცელებული ყოფილიყო რაღაც

ავადმყოფობა⁴⁰, რისგანაც თავი უნდა დაეცვათ თილიურელებს. გასათვალისწინებელია შემდეგიც. ხელშეკრულების ერთ დაზიანებულ ადგილას საუბარია რაღაც „უნმინდურობაზე“. შესაძლოა, იგი ეხებოდა სწორედ ქასქებს, რომელთა მიმართაც იყენებდნენ გარკვეულ შეზღუდვებს⁴¹.

ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები შეიცავენ ონომასტიკურ, ტოპონიმიკურ და სხვა სახის მასალას, რომელიც ხეთური ტექსტების სხვა მონაცემებთან ერთად უნიკალური ნყარია ქასქების ლექსიკური ფონდის შესწავლისათვის. იგი შუქს ჰფენს ამ ტომთა ეთნიკური კუთვნილების საკითხსაც.

ხელშეკრულებაში დაცულ ქასქურ საკუთარ სახელთაგან აღსანიშნავია: ასხაფალა, დადა (თათა), თათილი, თიმითი, თითა, თუთუ, ითილი, იციცი, საუსილი, სიმეთილი, საფალი, სუნუჰასი, სუნაილი, ფალდუ, ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფიციცი, ფაათა (პაატა), ქასქაილი, ქანუ, ქასუ, ქაციფირი (კაციფირი), ფიფურუვა, ქურიალი, ქუნალი, ხათიფთა, ხაცინა, ციფილი და სხვ.⁴²

ასევე მრავლადაა ხელშეკრულებაში დადასტურებული ტოპონიმიკური სახელები:

ასდუხერა, ანქურუვა, ერხითა, თალმალია, თასთარისა, თაფალუფა, თაფაფახსუვა, თახანა, თახფასარა, თემია, თეფიხინა, თაფურანიფი, იახრესა, ისხუფითა, ისთუმისთა, ისქამახასა, ლითა, მუთხალი, მახაუსა, სადუფა, სალა, სუნუფასი, უფასითა, უნდა[...], ფითალახსი, ქამამა, (?), ქაქადუ[...], ხალმათი, ხაისეხლა, ცასფია და სხვა მრავალი⁴³.

ჩვენთვის საინტერესო ხელშეკრულებებში არაერთხელაა ნახმარი გამოთქმა „ქასქების ღვთაებები“. ერთ ადგილას კი შემონახული უნდა იყოს რამდენიმე სახელი ამ ღვთაებათაგან. ესენია: ტაროსის ღვთაება ხანუფთენი, ტაროსის ღვთაება ქუთუფურუცი და ასევე ტაროსის ღვთაება ფაციმ[...], თუკი ა. ფონ შულერის აღდგენა [„ქასქების ღვთაებები“] სწორია⁴⁴.

ხელშეკრულების ორ ადგილას შემონახულია, როგორც ვკარაუდობთ, რომელიღაც სპეციალობის თუ თანამდებობის

აღმნიშვნელი ტერმინები: ფიქურიალი (იხ. ზემოთ „ნანაცითი (რომელიც არის) ფიქურიალი“) და ფიფალა („თუთუ, (რომელიც არის) ფიფალა“). სხვა ხეთური ტექსტების თანახმად, ასეთივე ტერმინებად უნდა ჩავთვალოთ ფიგაფილუ, ფიქუდუსთენაბ, ფითაურია, ფითუნთუ, ხარაი⁴⁵. ეს სიტყვები ქასქური წარმოშობისა უნდა იყოს.

ამჯერად არ შევუდგებით ზემომოყვანილი მასალის ანალიზს, რადგან იგი განსახილველია, რასაკვირველია, ხეთური ლურსმული ტექსტების იმ სხვა მდიდარ მონაცემებთან კავშირში, რომლებიც ეხება ქასქების პრობლემას საერთოდ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემას მეცნიერები კარგა ხანია იკვლევენ, დღეისათვის არაერთი საკითხია გადაუჭრელი. ეს განსაკუთრებით ითქმის ქასქების ეთნიკური კუთვნილების თაობაზე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქასქური ენის ბუნების გარკვევასთან.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული ქასქური ტოპონიმების თუ ონომასტიკონის სახელწოდებები, ისევე როგორც ცალკეული სიტყვები, ქასქური ლექსიკური ფონდიდანაა აღებული. მაგრამ, ცხადია, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განისაზღვროს ქასქური ენის ბუნება, რაც არ ხერხდება ქასქებთან დაკავშირებული მთელი მასალის ანალიზითაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი ვარაუდის თანახმად, ქასქების ენა დასაკავშირებელია ხათურ (პროტოხეთურ) ენასთან, რომელმაც რამდენიმე საუკუნე იარსება მცირე აზიაში ძვ. წ. II ათასწლეულის ადრეულ ხანებამდე, და რომელსაც მკვლევრები ამსგავსებენ დასავლურ-კავკასიური წარმოშობის ენებს. მაგრამ მთელ ხეთურ, ლურსმულ არქივში არსად არის აღნიშნული, რომ ქასქები ლაპარაკობდნენ „ხათურად“ („ხათილი“), რაც უდავოდ მხედველობაშია მისაღები ქასქური ენის ბუნების გარკვევისას. ამ ენის შესახებ ხეთური ტექსტები საერთოდ დუმან, მაგრამ, ცხადია, ქასქების ენა არ უნდა ყოფილიყო ხეთური („ნასილი“), ხურიტული („ხურლილი“), ლუვიური („ლუილი“), ფალაური („ფალაუმნილი“) და ა. შ.

გამომდინარე, რომელიც ჩრდილო-დასავლურ კავკასიური) ენის მონათესავე. მაგრამ ამასთანავე სრულიადაც არ იქნება მოულოდნელი, თუ ქასქური ენა დასაკავშირებელი იქნება დასავლურ-ქართველურ ენებთან, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ უკანასკნელთა მატარებელი ეთნიკური ჯგუფები ბინადრობდნენ ტერიტორიაზე, რომელიც ადრეულ ხანებში ქასქებთან იყო დაკავშირებული (პონტოს აღმოსავლეთი მხარე). არ არის გამორიცხული, რომ დასავლურ-ქართველური ტომები ადრეულ ხანებში შედიოდნენ კიდევ ქასქების დიდ ტომობრივ გაერთიანებებში, რომელთა შესახებ ხეთურ ტექსტებში მდიდარი ცნობებია შემონახული⁶.

შენიშვნები:

1. ძველადმოსავლური ქვეყნების პოლიტიკური ხელშეკრულებებისა და მათ შორის ხეთების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ზოგადი მიმოიხილვისათვის იხ. კრებული: "I trattati nel mondo antico. Forma. ideologia. funzione" Roma. 1990.
2. Weidner E. Politische Dokumente aus Kleinasien. Leipzig. 1923.
3. Friedrich J. Staatsverträge des Hatti-Reiches in hethitischer Sprache. Leipzig. I. T.-1926; 2. T.-1930.
4. იხ. ახლახან გამოქვეყნებული ნაშრომი Otten H. Die Bronzetafel aus Boğazköy. Ein Staatsvertrag Tuthalja IV. Wiesbaden, 1988.
5. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ქასქების საცხოვრისი გადაჭიმული უნდა ყოფილიყო სინოპსა და გირესუნსორის მდებარე ტერიტორიაზე. მაგრამ მდ. პალისის ქვემო დინების დასავლეთით ქასქების ტერიტორიის გავრცელება საეჭვო სხვადასხვა მოსაზრების გამო (ამის შესახებ დანვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი). ქასქების ტერიტორია ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა.
6. Schuler von E. Die Kaskäer. Berlin. 1965. გვ. 19, 64, 66, 81, 82.
7. იქვე, გვ. 152 და შმდ.
8. იქვე, გვ. 156-157, სტრ. 20-27.

6. Schuler von E. Die Kaşkärer. Berlin. 1965. გვ. 19, 64, 66, 81, 82.
7. იქვე, გვ. 152 და შმდ.
8. იქვე, გვ. 156-157, სტრ. 20-27.
9. თითქმის ყველა მათგანი გამოქვეყნებულია ^f ფონ შულერის ზემოციტირებულ ნაშრომში.
10. ^{LU}MEŠ ^{URU}Kaška takšulaš.: Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 120, სტრ. 24, 54-55; გვ. 121, სტრ. 59; გვ. 132, სტრ. 38 და სხვ.
11. ^{LU}MEŠ ^{URU}Kaška kurur: იქვე, გვ. 132, სტრ. 32; გვ. 135, სტრ. 24 და სხვ.
12. Schuler. დასახ. ნაშრ. გვ. 132, §8, სტრ. 32 და შმდ.
13. იქვე, გვ. 119, §17.
14. იქვე, გვ. 118, §12.
15. იქვე, გვ. 119, §15.
16. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 120, §23.
17. სიტყვა-სიტყვით: „იარალის კაცია“
18. ე. ი. ქასქების.
19. ე. ი. ხეთები.
20. დანვრილებით იხ. *გიორგაძე Г Вопросы общественного строя хеттов. Тбилиси, 1991, გვ. 80 და შმდ.*
21. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 12, §26
22. იქვე, გვ. 123, §39.
23. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 123, §42; გვ. 132, §8 და სხვ.
24. ასეთივე პირობას უყენებდნენ სხვა ენათმეცნიერებლებსაც. იხ. მაგალითად, Kempinski A., Košak S. Der Išmeriga-Vertrag. "Die Welt des Orients". V. 1970. N2, გვ. 196.
25. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 122, §36. შმდ. აგრეთვე გვ. 118, §10.
26. იქვე, გვ. 134 და შმდ.
27. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 137, §17, §21.
28. იხ. აგრეთვე გვ. 136, §14, სადაც რომელიღაც დასახლებათა მებრძოლებზეა საუბარი, და გვ. 140, §4.
29. ა. ფონ შულერის მიხედვით, „სახელთა სიები და მებრძოლთა ფიცი“.
30. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 141 წინა მხარე, სტრ. 4, 12.
31. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 145, ფრაგმენტი d 457/e, სტრ. 10.

32. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევებში გამოყენებულია ოვლის ათობითი სისტემა, რაც შეინიშნება იმ „სახელების“ (მეურნეობების) მიმართაც, რომლებსაც აკომპლექტებდნენ დეპორტირებულებით.
33. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 145, სტრ. 31.
34. იქვე, გვ. 145 და შმდ. ლიტერატურითა და კომენტარებითურთ.
35. ქ. თილიურას ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის, თუმცა ცნობილია, რომ იგი ქასქების სასაზღვრო ზონაში იყო, ქ. ნერიქთან ახლოს.
36. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 146, §6.
37. იქვე, გვ. 147, §17.
38. იქვე, §18.
39. იქვე, §19.
40. შესაძლოა, შავი ჭირი. იგი ეგვიპტესთან ომის შემდეგ სირიიდან უნდა შემოეტანათ ქასქებს, რომლებიც ხეთების ლაშქარში იყვნენ (მუვათალის დროს).
41. ქასქებთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში ასახული ვითარება შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ სხვა ქასქებისაგან განსხვავებით, განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე უნდა ყოფილიყვნენ ქასქები, რომლებიც თილიურას მეზობლად ცხოვრობდნენ.
42. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 91 და შმდ.
43. იქვე, გვ. 94 და შმდ.
44. Schuler. დასახ. ნაშრ., გვ. 117, §4 b.
45. იქვე, გვ. 94.
46. ქასქებთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ ახლა იხ. Neu E. Überlieferung und Datierung der Kaškaer-Verträge. "Festschrift für K. Bittel" Mainz am Rhein. 1983გვ. 391-400.

ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა)

ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა დასაბუთება იწყება მას შემდეგ, რაც ხეთების "ახალი სამეფოს" დამაარსებელმა სუფილულუმა I-მა (დაახლ. ძვ. წ. 1380-1346 წწ.) თავისი საგარეო პოლიტიკა მიმართა ჩრდილოეთ სირიის დაპყრობისაკენ. სწორედ ამ დროისათვის სირია იმყოფებოდა ეგვიპტის გავლენის სფეროში და, ცხადია, ეგვიპტე არ შეუერთდებოდა ხეთების გამორჩენას ამ ქვეყანაში.

შექმნილი პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაართულა იმხანა, რომ ეგვიპტის მოკავშირე მითანი (ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) ხეთების წინააღმდეგ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. სუფილულუმა I-მა ეფფრატი გადალახა და შეიჭრა სურეტების ერთ-ერთი გაერთიანების - ისუვას ტერიტორიაზე, რომელსაც სამხრეთიდან სწორედ მითანი ესაზღვრებოდა. დაამარცხა რა ისუვას ლაშქარი, სუფილულუმა მოულოდნელად დაეშვა სამხრეთით, ჩრდილოეთ შუამდინარეთში, და მიადგა მითანის დედაქალაქს - ვაშუქანის (აღკლმდებარეობა უცნობია). ხეთების ლაშქარმა გაძარცვა და დაანგრია ვაშუქანი. სუფილულუმამ მითანის სამეფო ტახტზე ასაყვანად მოაშადა თავისი ვასალი, მითასელი შატივაზა, რომელსაც თავისი ქალიშვილი მიათხოვა. სწორედ ამ ხანებში მითანის სამეფოს დიპლომატიური ურთიერთობა აქონდა ეგვიპტესთან, იგი ეგვიპტის გავლენის სფეროში შედიოდა.

მითანის დამარცხებამ სუფილულუმას ხელ-ფეხი გაუხსნა ჩრდილოეთ სირიაში სამოქმედოდ. ვაშუქანიდან იგი დაიძრა ჩრდილოეთ სირიისაკენ. გადმოლახა რა ეფფრატი, ხეთების

ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა ამ მხარის ერთ-ერთი წვრილი საშთავროს - ქინცას (იმავე კადემის) მეფეს. მისი დამარცხების შემდეგ ხეთების ლაშქარი უფრო სამხრეთითაც გაიჭრა. ხეთების მხარეზე გადავიდნენ ისეთი ცნობილი ქალაქ-სახელმწიფოებიც როგორც იყვენს ხალაფი (იგივე ხალფა, თანამ. ალექსი) და ალაღახი. წვრილი საშთავროებმა სუხაშე, აშურუ და სხვანი, რომლებთანაც ხეთებმა სამშვიდობო ხელშეკრულებანიც დადეს. ამ შედეგთანმა ლაშქრობამ კვლავ აღადგინა ხეთების ბატონობა ჩრდილოეთ სირიაში, რომელსაც ადგილი ქონდა ხეთების "ძველი სამეფოს" ხანაში (დაახლ. ძვ. წ. XVI საუკუნიდან), თუმცა ისეთი ძლიერი ქალაქ-სახელმწიფო, როგორც იყო ქარგამიში (ქარხეშიში) ევურატის შუა წელზე, კვლავ დამოუკიდებელი რჩებოდა. მოგვიანებით სუფილულიუმმა კვლავ გამოიწვია ჩრდილოეთ სირიაში და რვადღიანი ალყის შემდეგ ქარგამიშიც ხეთების პოლიტიკურ სფეროში მოექცა. სუფილულიუმამ ერთ-ერთი თავისი უფლისწული - თელიფსუ ხალფას მეფედ დასვა. ხოლო მეორე უფლისწული, ყიასილი, ქარგამიშის მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ ხალფა და ქარგამიში საბოლოოდ პროხეთურ ორიენტაციას დაადგენენ, გადაიქცნენ რა ხათის ვასალურ ქალაქ-სახელმწიფოებად, რაც მოგვიანებით გარკვეული საბაბი გახდა ეგვიპტესა და ხათს შორის ურთიერთობათა გართულებაში¹

მითანში და ჩრდილოეთ სირიაში მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებებმა გამოიწვიეს ხეთების სამხედრო ძალის აღიარება მოყლის ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, ეგვიპტეში, როგორც ვარაუდობენ. სწორედ ამიტომ არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი 18 წლის ასაკში გარდაცვლილი ფარაონის - თუთახამონის ქვრივის, ახალგაზრდა დედოფალ ანხესენპაამუხის მიერ წერილების გაგზავნა სუფილულიუმასადმი მუდარით: "ქმარი ჩემი გარდაიცვალა, ვაუშვილი კი არ მყავს. შესზე ამბობენ, ბევრი ვაჟიშვილი მყავსო. შენ რომ გამომიგზავნო ერთ-ერთი შენი

ქყოფანი, იგი ჩემი ქმარი გახდება. მე არაფრით არ ავიყვან ქმარს ქვეშევრდამთავან...” ანდა: “ის, ვისც ჩემი ქმარი იყო, მოკვდა და მე ძე არა მყავს... ყველა ამბობს, მას ბევრი ძე ჰყავსო. გამომიგზავნე ერთ-ერთი შენი შვილთავანი, რათა იგი ჩემი ქმარი გახდეს...”²

სოციოლოგიურად გაუთვალისწინებია ეგვიპტის დედოფლის თხოვნა, მისთვის უფლისწულიც (სახელად ცანახცა) გაუგზავნია. მაგრამ მას ეგვიპტეძლე არც მოუღწევია - ხეთი უფლისწული გზაში მოკვდავთ (ხავარაუდლო ანტიხეთური განწყობის ეგვიპტელებს). /ამ ისტორიებს ეგვიპტე-ხათის ურთიერთობა ძალზედ არ გაუმწვავებია. ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის საომარი მოქმედებანი არ გამოუწვევია.

ხათის მომდევნო მეფე მურსილი II (დაახლ. ძვ. წ. 1345-1315) რამდენჯერმე გამოსნდა მოკლე ხნით ჩრდილოეთ სირიაში: არეულობანი დაიწყო სუსამში, ამურუში, ქინცაში, თუმცა ამას ხათისგან განდგომა არ მოჰყოლია, მურსილიმ ქარხემიშსა და საღვამში ტახტზე დასვა ახალი მეფეხი, რომლებიც ხეთებისადმი ერთგულებას ინარჩუნებდნენ. სწორედ ამ ხანებში დაიღო ხელშეკრულება ამურუქთან, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ხეთების პოზიციები ჩრდილოეთ სირიაში, თუმცა უკვე მომძლავრებულმა ასურეთმა იწყო ამ პოზიციების შევიწროება: ასურეთის მეფემ ქარგამიშს შეუტია, სწორედ ასურეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით იყო ჩამოსული მურსილი ჩრდილოეთ სირიაში.

ჩრდილოეთ სირიაში ყოფნისას მურსილიმ პირველად შეიტყო, რომ ეგვიპტელთა რაზმები ამ ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან გამოხსდნენ, მართალია, ისინი მურსილის გარეშე დაამარცხეს და უკან გააბრუნეს, მაგრამ ეგვიპტელთა გამოჩენა მაყწყებელი იყო

მათი აქტიურობის განახლებისა ჩრდილოეთ სირიაში, რაც სულ მალე დადასტურდა³

XIX ლიხასტიის დროიდან ეგვიპტის წინაშე დადგა ამოცანა ძველი გაკლენის აღდგენისა პალესტინაში, ფინიკიასა და სირიაში. ეგვიპტის მთავარი მეტოქე აზიაში იყო ხათი, რომლის ბატონობა დღითიდღე იზრდებოდა ჩრდილოეთ სირიაში.

თავისი მეფობის მე-5 წელს (ძვ. წ. 1312 ან 1286/5 წ.), მკის მკორე თვის⁴ მე-9 დღეს რამსესი (იგივე უსერმაატრა-სეტეპეხრა) დაიდრა სირიისაკენ 20 ათასიანი კარგად შეიარაღებული ლაშქრით⁵ 29 დღის შემდეგ მან მიადწია “კედარის ველზე” მდებარე რომელიღაც ქალაქს, საიდანაც იგი გაემართა ჩრდილოეთისაკენ. კადემის მთასთან რამსესმა გადალახა მდ. ორონტი და მიადგა ქ. კადემს (თანამედროვე თელ ნები მენდის), რომლის ჩრდილო-დასავლეთით უკვე იდგა 30 ათასიანი ხეთების ლაშქარი მეფე მუვათალის (ძვ. წ. 1315-1296) მეთაურობით.

ეგვიპტური ტექსტის თანახმად (პარალელური ხეთური ტექსტი არ შემოიხსნა), ხეთების “ვერაგ მეფეს” შეუქმნია დიდი კოალიცია “უცხო ქვეყნებისა ზღვის დასასრულიდან დაწყებული ხეთების ქვეყნამდე” ყოველ ვასალურ ქვეყანას თავისი მშართველიც, ჩამოკყოლია ქვეითი ლაშქრითა და საბრძოლო ეტლებით. “მათ დიფარეს მთები და ველები კალიების მსგავსად” ხეთების მეფეს დიდი სიმდიდრე შეუგროვებია. (ვერცხლის სახით) თავის ვასალებთან ერთად იმ მიზნით, რომ ანტიეგვიპტური კოალიცია კარგად შეიარაღებული ყოფილიყო. ლაშქარი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. ფარულად განლაგებულიყო რა კადემის ჩრდილო-დასავლეთით.

ეგვიპტელთა ლაშქარი ბრძოლის წინ ასე გაშოიყურებოდა: პირადად რამსესის თანხლებ რაზმებს უკან ღვთაება ამონის ლაშქარი მოკეებოდა. ღვთაება რას ლაშქარმა გადალახა

სეპიალხის მსკელი მდინარის ფონი ქ. შებთუნთან (აღცილმდებარეობა უცხოება). ღვთაება ჰეპაის ღაშქარი განლაგებული იყო ქ. ირნემის სამხრეთით, ხოლო ღვთაება სეთის რაზმები კიდევ გზაში იმყოფებოდა. რამსესს პეოლია აგრეთვე თავისი ღაშქრის საუკეთესო ავანგარდული რაზმები, რომლებიც განლაგებული ყოფილან იმრის ქვეყნის მუხობლად.

სეუების "ვერაგი მუეე" თავისი დამცველი რაზმის შუაში მდგარა და ბრძანება გაუცია. ბრძოლაში ნაბშულიყო მთელი ქვეითი ღაშქარი და საბრძოლო ეტლები, "ქვიშასავით მრავალრიცხოვანი რომ იყვნენ" თითოეულ საბრძოლო ეტლზე კარგად შეიარაღებული სამი მეომარი მდგარა. მთელი ღაშქარი ჩახაფრებული ყოფილა ქ. კადემის მახლობლად. რაც მოულოდნელი აღმოჩნდა ეგვიპტელთათვის. მათთვის ხეთებს სამხრეთის მხრიდან შეუტევია იმ დროს, როცა ამონის ღაშქარი ჯერ კიდევ არ ყოფილა საომრად მომზადებული, როგორც ქვეითები, ასევე საბრძოლო ეტლები ვერ უწყვედს ხათანადო წინააღმდეგობას ხეთებს, რომლებმაც დაჯახნეს ეგვიპტელთა მეომარი რაზმები.

თვითონ რამსესი ალყაში აღმოჩნდა. მაგრამ ძალე ძალები მოიკრიბა და "ვერაგი ხეთების მტერს", სულ სხვადასხვა ქვეყნის მეომრებისაგან და 2500 საბრძოლო ეტლისაგან შემდგარს, ეკეთა. დასმარებისათვის რამსესმა ღვთაება ამონს მოუხსო, რომელსაც "მევენმეხია" მისი ხმა და მის დასახმარებლად წამოსვლა მოწოდებით: "წინ, წინ რამსეს-მერი-ამონ! მე შენთან ვარ, მე მამა ვარ შენი, ნემი ხელი შეხთანაა. მე უფრო დაგეხმარები, ვიდრე ასი ათასი ერთად შეკრებილი ადამიანები. მე გამარჯვების მეუფე ვარ, მომწონს რა მამაცობა!" თვითონ რამსესმა კი ბრძოლის წინ თავის მეომრებს მიმართა: "გამაგრდით! გაიმავრეთ თქვენი გულები, ჩემო მეომრებო და ეტლოსხებო! ამონი, მფარველი ნემი, ჩემთანაა!" (ამის შემდეგ რამსესი აღიარებს, რომ მისმა ქვეითმა რაზმებმა და ეტლოსხებმა დახაშაული ჩაიდინეს და მტერს საშუალება მისცეს

დროებით მოეპოვებისათ გამარჯვება, რის გამსოც რამსესი ალყაში აღმოჩნდა). შემდგომ რამსესს შეეერთდნენ ახალი ძალები, რომლებმაც ხეთებს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს. კადეშის ბრძოლის აღმწერ ეგვიპტური ვერსიის დასასრულში ძალზედ გაურკვეველადაა მოთხრობილი ეგვიპტელთა გამარჯვების შესახებ მასში აღნიშნულია, რომ თითქოს ხეთების მეფეს ფარაონისთვის "ელნი" გაუკზავნია წერილით, რომელშიც ხოტბა ესხმოდა რამსესს, ხეთების მეფე მას თითქოს სთხოვდა, შეეწყვიტათ ბრძოლა, რადგან "მშვიდობა უკეთესია ომზე..." ფარაონმა შეკრიბა თავისი მებრძოლები და გააცნო მათ წერილის შინაარსი, მებრძოლებსაც უკასრუებდა, რომ მართლაც "მშვიდობა გაცილებით უკეთესია" ამის შემდეგ რამსესს სათახადო ბრძანება გაუცია და ეგვიპტელთა ლაშქარი სამსრეთისაკენ დაძრულა.

როგორც ვარაუდობენ, კადეშის ბრძოლის აღმწერ ეგვიპტურ ვერსიაში ეგვიპტელთა მოქმედებანი ძალზე გაზვიადებულია, კადეშის ბრძოლა იყო ახალგაზრდა რამსეს II-ის ადრეულქრონიკალური ოპერაცია, რომლის დროსაც მას სერიოზული შეცდომები უნდა დაეშვა. მაგალითად, ხეთების მიერ მიგზავნილმა მზეერაკებმა ეგვიპტელებს მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია, რომ თითქოს ხეთების ლაშქარი კადეშიდან შორს ჩრდილოეთისაკენ გაემართა, ხინამდვილეში კი მუკათალი თავისი ლაშქრით კადეშის მისადგომებთან ფარულად იყო გამაგრებული. გამოუცდელი მხედართმთავარი ადვილად წამოიგო ამ ფანდს და გადაწყვიტა მტურშით აეღო ქ. კადეში. მაგრამ იგი მახეში გაება: ხეთების მყოფრებმა გაანადგურეს ღვთაება რას რაზმები, რომლებიც რამსესს იცავდნენ, და ალყა შემოარტყეს ღვთაება ამონის რაზმებსა და თვით ფარაონს, რასაც არ მალავს ეგვიპტური ტექსტის 'შემდგენელი' თვით ფარაონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ მისმა ჭკვიანმა რაზმებმა და ეტლოსებმა წინდაუხედაობა გამოიჩინეს, რამაც გამოიწვია დიდი მარცხი, ის ფაქტი, რომ რამსესი ხეთების

მეფეს. მუკათაღის, უწოდებს “ვერაგს, საზიზღარს”. აშკარად მეტყველებს ფარაონის გაბირობებას ამ მარცხის გამო.

თავისი გულადობის წყალობითა და დაძმარე რაზმების მოშველიებით რამსესმა ალყა გაარღვია, რითაც ეგვიპტელები გადარისნეს სრულ განადგურებას. ხეთების ლაშქარი კი პანიკამ მოიცვა დიდი დანაკლისის გამო და მზად იყო ბრძოლა შეეწყვიტა. შეხაძლოა, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ხეთების მეფეს დახაყება შეუთავაზებია ფარაონისთვის. აშკარაა, რამსესმა ვერ შეძლო ანტიეგვიპტური კოალიციის განადგურება და ქ. კადეშის აღება. მაგრამ ამავე დროს ვერც მუკათაღიმ მოახერხა სამხრეთისაკენ გალაშქრება.

კადეშთან გამართული ბრძოლის აღწერისას ეგვიპტურ ტექსტში არაერთხელაა ჩამოთვლილი ანტიეგვიპტურ კოალიციაში შემავალი ქვეყნები, რომლებიც განსაზღვრული უოფილან “ზღვის დასაწყისიდან (?) ხეობას ქვეყნამდე” ესენია:

საპარინა (ეგვიპტ. ს.ირნ)⁸ - შდრ. ბიბლიის არამ საპარაიმ. ეგვიპტურ წყაროებში იხმარებოდა მითანის (ზოგჯერ - ჩრდილოეთ სირიის) აღსახიშნავად.

არცავა - მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ქვეყანა, რომელიც მოიცავდა ვილუსას, მირა-ქუვალიას, ხაფალასა და მდ. სეხას ქვეყნებს.

დარდასები (დრდს) - მოიხსენიებას კომეროისის “ილიადაში” როგორც ჩასს, საძებნია ანატოლიის უკიდურეს დასავლეთში.

ქასქები, ქაშქები (ქშქშ) - ტომები, რომლებიც ხეთების სამეფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინადრობდნენ.

მასა (მს) - ხეთური წყაროების მიხედვით მდებარეობდა სამხრეთ ანატოლიაში.

ჟიასასა (ფდს) - ხეთური ტექსტების მონაცემთა თანახმად იგი თანამედროვე კონიის ზეგანზე მდებარეობდა.

არაჯახა (რეხ) - მდებარეობდა, როგორც ჩანს, ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

კარკსა (კრკშ) - დასავლეთ ანატოლიაში მდებარე ქვეყანა.

ლაკად (რკ) - ხეთურ ტექსტებში მოხსენიებული ქვეყანა (შდრ. ლიკია, ლიკონია), მდებარეობდა ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთში.

ქეკევათხა (კედენ) - ხეთების ძირითადი ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა (კილიკიაში). სადაც მდებარეობდა დიდი საკულტო ქალაქი ქეშანი.

ქარაქშიში (ქრქშშ) - ხეთური და სხვა ძველადმოსავლური წყაროების ქვეყანა ჩრდილოეთ სირიაში, იგივე ქარსემშიში.

უგართი (კრტ) - ცნობილი ქალაქ-სახელმწიფო ჩრდილოეთ სირიაში (თანამ. რას-შამრა).

სუსაშუ (სკს) - მდებარეობდა ჩრდილოეთ სირიაში.

ჰადემში (კდშ) - ცნობილი ქალაქ-სახელმწიფო ჩრდილოეთ სირიაში, იგივე ქინცა.

ხალაფი, ხალფა (ხრბ=ხლბ) - უძველესი ქალაქ-სახელმწიფო ჩრდილოეთ სირიაში, თანამ. ალუპო⁹

ზემომოყვანილი გეოგრაფიული სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხეთების დაშქარი შედგენილი ყოფილა მცირე აზიასა და ჩრდილოეთ სირიაში (იხევე როგორც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში - მითანი) მდებარე ქვეყნებისა და ქალაქ-სახელმწიფოთა მიერ წარმოგზავნილი მეომრებით. ჩამოთვლისას ჯერ ნაპარინაა დასახელებული. შემდეგ კი იწყება ანატოლიის პოლიტიკურ/ერთეულთა დასახელება, რომელთა ერთ ნაწილთან ხეთებს ვასალური ხელშეკრულებებიც აქონდათ დადებული. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიის ქვეყნებს შორის არ ჩანს ახიავა, რაც, შესაძლოა, იმაზე მიუთითებს, რომ იგი არ მდებარეობდა მცირე აზიაში (ეგვიპტურ წყაროებში ახიავა ჩნდება “ხღვის ხალხებთან” დაკავშირებით)¹⁰ ამის შემდეგ გრძელდება ჩამოთვლა

წრდილოეთ სირიაში მდებარე ქვეყნებისა და ქალაქ-სახელმწიფოებისა, რომლებიც ხეუების ვასალებად ითვლებოდნენ.

ასტიკევიკური კოალიციის წევრთაგან ჩვესს ყურადღებას იქცევს ქასქების ქვეყნის გამოჩენა.

როგორც ხეთური ლერსმული ტექსტებიდან ჩანს, ქასქების ტომები ბინადრობდნენ ხეთების წრდილოეთითა და წრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანებით პონტოს ეკავა. აღმოსავლეთისაკენ მათი ტერიტორია გადაჭიმული იყო რეკიოსამდე. რომელიც მოგვიანებით დასავლურ-ქართველური წარმოშობის ტომებით (ტიბარეებით, მოსინიკებით, მაკრონებით, სალიბებით, სანებით) უნდა ყოფილიყო დასახლებული.

ქასქები სისტემატურად თავს ესხმოდნენ ხეთების მეზობელ რაიონებს (ზოგჯერ თვით ხათუსასაც - ხეთების დედაქალაქსაც) და მსილადარი სადავლით უკან ბრუნდებოდნენ. ხეთი მეფეები დროდადრო ქასქების ზოგიერთ ქვეყანასთან ჩელშეკრულებებსაც ღებდნენ იმ იმედიით, რომ შეაჩერებდნენ მათ ყანაღურ თავდასხმებს. მაგრამ ამაოდ. ისევე აგრძელებდნენ რა შემოსევებს. ხელშეკრულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკითხს ხეთების ღაშქრის შექმადგენლობაში ქასქების დამსმარე რაზმების გამოგზავნისა და ამში მოსაწილეობის შესახებ. იქვე იყო მითითებული ხეთებისათვის გასაგზავნ მემომართა რაოდენობაც, რომელიც განისაზღვრებოდა ქასქების დასახლებებში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვით. საყარაუდოა, რომ ქასქების ქვეყნიდან მოწოდებული მემომრების რაოდენობა, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე ათასს აღწევდა¹¹. თუკი სხვა ვასალური ქვეყნებიდანაც მეტნაკლებად ასეთივე რაოდენობის მებრძოლებს აწვდიდნენ ხეთებს, მაშინ ხეთების ღაშქარს მემომართა სიმცირე არ უნდა განეცადა. მით უმეტეს, რომ საკუთრივ ხეთური დასახლებებიდანაც, ალბათ, მემომართა დიდი კონტინგენტები ღებებოდა. ამიტომაც არ უნდა იყოს გასაკვირი

კადეშის ბრძოლაში 30 ათასიანი (ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით. 35 000-იანი) ლაშქრის მოხაწილეობა ხეთების მხრიდან.

ქასქების მრავალრიცხოვანი რაზმები უნდა შემდგარიყო ეგვიპტელებთან ბრძოლის დაწყების წინ. გასათვალისწინებელია, რომ საერთოდ ქასქების მიერ გამოგზავნილი დამხმარე რაზმები შედგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი წარმოშობის მებრძოლებისაგან (ამავე პირობას უყენებდნენ ხეთები სხვა ვახალურ ქვეყნებსაც)¹² ასე იქნებოდა ამჯერადაც. ეგვიპტელებთან ომის დაწყების წინ. როგორც ჩანს, ქასქები ითვლებოდნენ კარგ მეომრებად. რომელთა სახელი ცნობილი უნდა ყოფილიყო მთელს წიხა აზიაში. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კადეშთან ბრძოლამდე კარგა ხნით ადრე ეგვიპტის ფარაონი ამენსოტეპ III (ძვ. წ. 1413-1377) დაუნიშნებდა სთხოვდა "სემონახსენები არცაგას ქვეყნის მეფეს. თარხუნდარადუს. ეგვიპტეში გამოეგზავნა "კატები ქასქას ქვეყნისა. მსმენიან. იხინი მამატები (?) (არიან)"¹³

სავარაუდოა, რომ კადეშთან გამართულ ბრძოლაში მოხაწილეობას იღებდნენ ქასქების რაზმებში მყოფი მეომრები. რომლებიც პონტოს აღმოსავლეთით მოხაზღვრე ქვეყნებიდან იქნებოდნენ წამოყვანილი. ასეთ შემთხვევაში, კადეშის ბრძოლაში დასავლურ-ქართველური წარმოშობის მეომართა მოხაწილეობა არ უნდა იყოს გამორიცხული.

კადეშის ბრძოლამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული. შეხარჩენებული იქნა სტატუს კვო: მომდევნო ხანებში სეთები ძველებურად ბატონობდნენ ჩრდილოეთ სირიაში. ხოლო ეგვიპტელები - სამხრეთ სირიაში. ისევე, როგორც პალესტინასა და ფინიკიაში. მაგრამ კადეშის ბრძოლამ მოამზადა სიადაგი ამ ორ დიდ ხალხს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად.

სეთების მომდევნო მეფის - ხათუსილი III-ის საგარეო პოლიტიკა მიხედვით ისახავდა ეგვიპტესთან ურთიერთობების მოგვარებას. რაც

მას შექმლა კიდევ. რამსეს II-ის მეფობის 21-ე წელს (დაახლ. ძვ. წ. 1296 ან 1269 წ.) წინა აზიის ორ დიდ სახელმწიფოს მბრძანებელთა შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. პარიტეტის პრინციპზე აგებული. რასაც შემდგომ მოჰყვა დინასტიური ქორწინება: რამსესმა ცოლად შეირთო ხათუხილის ასული. ეგვიპტელები და ხეთები საშუალოდ დაუზავდნენ ერთმანეთს.

შენიშვნები:

1. გ. გიორგაძე. ათასი ლეთაების ქვეყანა. თბილისი, 1988. გვ. 67 და შმდ.
2. იქვე. გვ. 68.
3. იქვე. გვ. 72.
4. ეგვიპტეში მკის დრო იწყებოდა დაახლოებით მარტის შუა რიცხვებიდან და გრძელდებოდა ივლისის შუა ხახებამდე.
5. რამსესის ამ ლაშქრობას ეძღვნება სპეციალური ტექსტი ეგვიპტურ ენაზე. რომლის რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია წიგნში: "Хрестоматия по истории Древнего Востока" Москва, 1963. გვ. 119 და შმდ. ლაშქრობის ამსახველი ხეთური ტექსტი ბოლდუჟის/ლურსთქლ არქივში არ შემოინახა.
6. "Хрестоматия по истории Древнего Востока". გვ. 120.
7. იქვე. გვ. 122.
8. ფრანხილებში მოთავსებულია ეგვიპტური შესანჯევისობანი.
9. დასარჩეს გეოგრაფიულ სახელთა გაიგივება რომელიმე მცირეაზიულ ან ჩრდილოეთ სირიულ სახელწოდებებთან არ ხერხდება. /
10. საუკრადლებია, რომ თითქმის არცერთი ამ "ზღვის ხალხთაგან" (შრდს - ხარდები, შკრშ. აკშშ - ბერძენი აქეელები, ტრშ - ტირსენები (?), ფრსხ - ფილისტიმელები, ჩკრ. დს - დახაელები, ვშშ) ანტიეგვიპტურ კოალიციაში მონაწილეობას არ იღებდნენ (გარდა ტკ ასე ლკ - ლუკას ქვეყნისა. იხ. ზემოთ).
11. დაწვრილებით გ. გიორგაძე. ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები (ზოგადი მიმოხილვა). "ქართული დიპლომატია". I. თბილისი, 1994. გვ. 39 და შმდ.
12. იქვე. გვ. 39.
13. ტექსტი ხეთურად არის შედგენილი. ქასქების შიმართ ხახმარი "ცინხეკ" სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. ჩვენ ამ სიტყვას პირობითად ვთარგმნით როგორც "მათაცებს" ✓

ვის ეკუთვნის ქაშქები?

დღემდე მოღწეულ ათასობით ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მრავალჯერის მოიხსენიება ქაშქების ტომები. მათ კჳინდათ საკმაოდ ვრცელი ქვეყანა, რომელიც განივრცობოდა მთელი პონტოს ტერიტორიაზე (ახლა თურქეთშია და უფრო აღმოსავლეთით). ქაშქების საცხოვრებელი ტერიტორია დაახლოებით ემთხვევა იმ ადგილს, სადაც უფრო მოგვიანებით ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: ხალიბები და სხვანი. ამიტომაც ბ-ნ გრიგოლს გაუჩნდა აზრი - ხომ არ ეკუთვნოდნენ ქაშქები ქართველურ ტომებს? მით უფრო, რომ მეცნიერის ყურადღება მიიპყრო ქაშქურმა ტომონიშებმა და ეთნონიშებმა, ბევრი მსგავსება შენიშნა მეგრულ სიტყვებთან...

თქმცა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ქაშქებს უკავშირებენ არაინდოევროპული წარმოშობის ხალხებს, კერძოდ, აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობის ტომებს - ქაშაგებს. ამასთან, ზოგიერთი ხეთოლოგი ხათურ, ანუ პროტოხეთურ ენას ერთ-ერთ აფხაზურ ენად მიიხნევს. ქართველ მეცნიერებს კი, სამწუხაროდ, ხათური ენა დღემდე არ შეუსწავლიათ.

კვლევის შედეგად, ბ-ნი გრიგოლი მივიდა დასკვნამდე, რომ "ხეთური ისევე, როგორც ასურული) ლურსმული ტექსტების ქაშქები (ქაშქები) არ უნდა გავაიგივოთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ მოგვიანო (შუა საუკუნეების ხანის) ქაშაგებთან (სურქესებთან), ე. ი. აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომებთან. "ქაშქა" და "ქაშაგ" ტერმინთა მსგავსება შემთხვევითი უნდა იყოს (ფონეტიკურად მსგავსი სახელწოდებები მრავლად მოიპოვება მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას - აზიაში, ევროპაში, აფრიკაში). ქაშქები სამხრეთ კოლხური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ტომებად შეიძლება ჩავთვალოთ, რასაც გვაფიქრებინებს ქაშქების ტომონიშის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შედარება დასავლურ-ქართველური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის სიტყვებთან"

ამდენად, გ. გიორგაძის ეს პიპოთეზა, რომ ქაშქები არიან არა აფხაზურ-ადიღეური მოდგმის, არამედ ქართველური, კოლხური

(მეგრულ-ჭახურ-სვანური) წარმოშობის ტომები, უპირისპირდება და თავდაყირა აყენებს აუხახ მეცნიერთაგან დღემდე გავრცელებულ თეორიას. ვფიქრობთ, მეცნიერული თვალსაზრისით, საგნებით გასაგებია ამ აღმოჩენის დიდი მნიშვნელობა უძველეს ქართულ ტომთა შესწავლინათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება ამ საკითხისადმი მეცნიერთა დამოკიდებულებას, მას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა საბჭოთაო წრეებში, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ერთი წლის მანძილზე, გარდა ისტორიის ინსტიტუტისა, სადაც თავად მეშაობის ბ-ნი გრიგოლი, ამ მოხსენების ავტორი არაერთგან მიიწვიეს: სულ ახლახან წარსდგა იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ტრადიციულ "საუბრებზე", რასაც წინ უსწრებდა შეხვედრები აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და აკად. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. მას ყველგან ურჩევდნენ ამ თემაზე მეშაობის განგრძობას და მონოგრაფიის მომზადებას. ბატონი გრიგოლის სტატია იბეჭდება ეურნალ "არტანუჯის" უახლოეს ნომერში. უფრო ადრე კი მან გამოაქვეყნა სტატია "ასურული ლერსმული ტექსტების "ქაშქა" და "აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ" (საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შრომებში, "ნარკვევები" IV, საიუბილეო კრებული, 1998). რადგან პიპოთეზა ფართო მეცნიერული მსჯელობის საგნად იქცა, კომენტარი ვთხოვეთ სხვადასხვა სამეცნიერო წარმომადგენლებს:

ოსთარ ლორთქიფანიძე, პროფესორი: ძველი აღმოსავლეთის ისტორიის თვალსაჩინო და საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარის, ბატონი გრიგოლ გიორგაძის მტკიცება ქაშქების კოლხურ სამყაროსთან ეთნოკულტურული კავშირის შესახებ, უადრესად საინტერესოა. ეს მტკიცებანი, ძირითადად, ენობრივს, და ონომასტიკურ მასალაზეა დაფუძნებული. ამიტომაც, გადამწვევტი სიკვება ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ენების მკვლევართ ეკუთვნით. არქეოლოგიური თვალსაზრისით კი, აქ მოულოდნელი არაფერია: ქაშქების განსაზღვრების ტერიტორია მოქცეულია კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში. ყოველ შემთხვევაში,

კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელება სამბრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. დღევანდელ ქალაქ ორდუმდე მაინც (ამჟამინდელ თურქეთში), დოკუმენტურად არის დადასტურებული კოლხური ბრინჯაოს ცელების აღმოჩენით. მეორე მხრივ, იმავე ტერიტორიაზე ბერძენი და რომაელი ავტორები უფრო გვიან (ძვ. წ. VI ს-დან) მოიხსენიებენ დასავლურ-ქართველურ ტომებს: ჭალიბებს და ხალდეებს, მოსინიკებს, სანებს. შემდგომში ეს ტომები, იმავე ტერიტორიაზე, ქმნიან დიდ გაერთიანებას, რომელსაც ბიზანტიელი ისტორიკოსები (მაგ. პროკოპი კესარიელი) "ჭანების" სახელით მოიხსენიებენ. ასე რომ, ქაშქების კოლხურ, ე. ი. დასავლურ-ქართველურ ეთნოსად მიჩნევის ჭიპოთეზას აქვს გარკვეული საფუძველი. თუ ეს ეიპოთეზა დადასტურდა, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართული ეთნოსისა და ქართველური ენების ისტორიისათვის, კერძოდ, დადასტურდება, რომ მეგრულ-ჭანური ანუ "ზანური" ("კოლხური") ენა უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში გამოყოფილია ქართულ-ზანური ერთობისაგან, რასაც ადრევე ვარაუდობდნენ არქეოლოგები, განსხვავებით, ლინგვისტთა ერთი ნაწილისაგან, რომელიც ჭხენებულ პროცესს უფრო გვიანი ხანით ათარიღებენ.

ელიშერ ხოსტარია-ბროსე, პროფესორი: ხეთურ ტექსტებში მოხსენიებული ქაშქების ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლამ აკად. გრიგოლ გიორგაძე იმ დასკვნაზე მიიყვანა, რომ ქაშქების ტომები განხილულნი უნდა იყვნენ. როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური, ანუ სამბრეთ-კოლხური წარმოშობის ტომები. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ბატონი გრიგოლის ძალზე საინტერესო სტატია, ასურული ლურსმული ტექსტების "ქაშქა" და "აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ გავაიგივებთ "ქაშქასა" და "აბეშლას" ეს უკანასკნელიც სამბრეთ-კოლხურ ტომად წარმოგვიდგება.

ბატონ გრიგოლს კიდევ ერთი საყურადღებო დაკვირვება აქვს, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ აბეშლაელები ჩნდებიან ასურულ წყაროებში ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. ამ დროისათვის უკვე აღარ არსებობდა ხეთების იმპერია. ძვ. წ. XI ს. დასაწყისისათვის ძლიერდება სხვადასხვა

ეთნიკური ჯგუფების სამხრეთისკენ გავრცელების პროცესი. ისინი აღრუელ ხანებში ცხოვრობდნენ ხეების სახელმწიფოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, კერძოდ პონტოს ან აღმოსავლეთის რაიონებში. ამის მაგალითია ქასქები, რომელნიც იმპერიის დაცემისთანავე დაიძრნენ სამხრეთისაკენ.

სწორედ ამ პერიოდისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომები, რომელნიც მანამდე არ იხსენიებიან. ერთ-ერთი ასეთი ტომი უნდა ყოფილიყო ქართველური წარმოშობის მუშქები. ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოსახლებულ ტომებს შეიძლება უკავშირდებოდნენ აბეშლაელებიც, რომლებსაც უნდა ეცხოვრათ ქასქების მეზობლად, აღმოსავლეთის მხრიდან. ამდენად, ქაშქები, აბეშლაელები და მუშქები ერთ დიდ რეგიონში მცხოვრები ეთნოსები უნდა ყოფილიყვნენ და ამასთან შესაძლოა ერთიერთმონათესავე ტომებიც. |

სახელწოდებების "აბეშლასა" და "ქაშქას" ერთიერთშიმართებასა და მათი ადგილის გარკვევას ძველ აღმოსავლურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჩვენთვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამ საკითხს უკავშირდება აფხაზეთის ძველი მოსახლეობის აფშილთა (აფსილთა) ვინაობის და აფხაზთა გენეზისის გარკვევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ტერმინები "აბეშლა" და ანტიკური ავტორების "აფსილი" სინონიმებია. ე. ი. აბეშლაელები და აფსილები ერთმანეთთან გასაიგივებელია. მაშასადამე, აბეშლაელები იგივე აფსუა ტომებია. მაგრამ აკადემიკოს გიორგაძის თანახმად, ასეთი იდენტიფიკაცია კიპოთეტურია იმ მიზეზის გამო, რომ იგი დამყარებულია სულ სხვადასხვა რეგიონის და ეპოქის მხოლოდ და მხოლოდ ორი ტერმინის "აბეშლას" და "აფსილის" ფონეტიკურ მსგავსებაზე.

აბეშლაელებისა და აფსილების (ე. ი. აფხაზების, აფსუების) გაიგივება არ მტკიცდება სხვა რაიმე დამატებითი ფაქტებით. ამიტომაც ეს ორი ეთნოსი განსახილველია როგორც სხვადასხვა ტომი. მაგრამ თუ მაინც დაუშვებთ, რომ "აბეშლა" და "აფსილი" სინონიმებია, მაშინ აფსილიც კოლხური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ტომად უნდა ჩაითვალოს, რადგან აბეშლაელები, ქაშქებთან ერთად, სწორედ ასეთ ტომად გვევლინებიან...

ამდენად, უაღრესად საინტერესოა აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის თვალსაზრისი "ქაშქა" და "აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, იგი ახლებურად პუენს შუქს ძველი აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ეთნიკური სურათის მეტად მნიშვნელოვან ასპექტებს.

ნათელა ქუთელია, პროფესორი: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქასქები (ქაშქები) უნდა ყოფილიყვნენ ხათები, ან მათი მონათესავე ტომები მაინც. ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, ქასქები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ აფხაზურ-ადიღურ ტომებს უკავშირდებიან.

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე უარყოფს ამ ჰიპოთეზას და ვარაუდობს, რომ გაცილებით პერსპექტიულია ქასქების ტომთა გენეტიკური კავშირის ძებნა ძველ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ პონტოს აღმოსავლეთ რეგიონებში და მათ მეზობლად.

აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის მიერ ილუსტრირებული მდიდარი ონომასტიკური მასალა სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს ენათმეცნიერ ქართველოლოგებს. დროული და სამართლიანია ბატონ გრიგოლის დელიკატური შესხენება, რომ არც ერთ ქართველ ენათმეცნიერს ხათური ენა დღემდე არ შეუსწავლია. არა და ყველა ქართველოლოგს, რომელიც ხეთურ ტექსტებში დადასტურებულ ქასქურ ონომასტიკურ მასალას გაეცნობა, პირველი, რაც თვალში ეცემა, ეს არის ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრულს) შორის, განსაკუთრებით აფიქსთა იდენტურობა.

ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა ეპოქის, თანაც ბგერობრივად იდენტური მასალის შედარება მეთოდურად გაუმართლებელია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქმე გვაქვს ონომასტიკურ მასალასთან და მაწარმოებელ აფიქსთან. ეს უკანასკნელი საუკუნეებს უძღვება...

კარლო თოფურია, ქართველოლოგი-ისტორიკოსი: ერის ისტორიაში ზოგჯერ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცნოს ყველა. ამგვარია ის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება საქართველოსა და ქართველური ენების მიმართებას მცირეაზიულ ძველი აბორიგენების

ისტორიასთან და ენებთან, კერძოდ, ქაშქების (ქასქების), პროტოხეობის (ხათების) და სხვა ენებთან.

დღემდე ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის ქართველი ავტორებიც აცხადებდნენ, რომ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული ეთნონიმი "ქაშქები" (რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე პალისიდან აღმოსავლეთით, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მდ. ჭოროხამდე), კრებითი სახელია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ქართველურ მოსახლეობასაც. ||

ბატონი გრიგოლი. დღემდე არსებულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებისაგან განსხვავებით, დამაჯერებლობით ასაბუთებს, რომ ქაშქები ქართულენოვანი მოსახლეობაა. მოჰყავს სათანადო დასაბუთებაც. აი ისინი: ქასქური გეოგრაფიული სახელები — ია სუფიქსზე დამთავრებული: ელურია (ილურია), გახარია; შარია (სარია); შუსურია (სუსურია); თაქაშთურია; თიფია, ფიაფია და ა. შ. მასვე მოჰყავს შესაბამისი თანამედროვე მეგრული გვარ-სახელები. ე. ი. ქასქური ტოპონიმიდან მეგრულ-ლაზური: პირველყოფილი გვარი, აქედან გვიანდელი გვარი და და ბილოს. || თანამედროვე გვარ-სახელები.

ქასქური ტოპონიმებიდან ინტერესს იწვევს გეოგრაფიული სახელები — სქა, — შგა, სუფიქსებით: ხუმინთეშქა, თათიშქა. ციანთიშქა, დუდუშქა და სხვ... ასევე ქასქური საკუთარი სახელები: ფიხენია, ასხაფალა, ხაცინა, იციცი, ფაციცი, დადა, დადილუ, ფია. თითა და სხვ... ტოპონიმები და საკუთარი სახელები — დაბოლოებით (ასეთი სახელებიც მრავლადაა მეგრულ-ჭანურში): ხატენცევა, ქათხაიდევა, საფიდევა, თაფასავაჭა ა. შ.

ბატონმა გრიგოლმა მოიხმო საქმით დაინტერესებული მეგრულ-ლაზურის მცოდნე ქართველოლოგები. წილად მხვდა ბედნიერება, მათ შორის მეც ვყოფილიყავი. სტატიების გაცნობამ, მათმა შეჯერებამ მეგრულ-ლაზურთან, ყოველგვარ საუკეთესო მოლოდინს გადააჭარბა, აი, ჩვენი დაკვირვების ზოგიერთი შედეგი: ქაშქური ტოპონიმი "თაქაშთურია" იკითხება და იშიფრება თანამედროვე მეგრულზე (თაქა — შ — თურია), "თაქა" მამაკაცის სახელია ქართულში. "თური" მეგრულია, ნიშნავს გვარს, ე. ი. "თაქაშთურია", თაქას გვარისანი. შდრ. ბალა-თურია. ე. ი. ბალას

გვარისა: ჭან-თურია (ჭანტურია), ჭანის გვარისა: ქუთა-თურია,
ქუთას გვარისა და ა. შ.

ისლა დაგერსენია გზა დაულოცოთ ბ-ნ გრიგოლ გიორგაძის
ასალ მენციურულ წამოწყებას...

ეს რაც შეეხებოდა სპეციალისტთა დამოკიდებულებას ამ
საკითხისადმი. ბატონი გრიგოლის აზრით კი, მართალია
ჯერჯერობით არ ხერხდება განხილულ ქასქურ ტოპონიმთა და
საკუთარ სახელთა მნიშვნელობების დადგენა, მაგრამ ამის
მიუხედავად, ეს სიტყვები მაინც იმსახურებენ ყურადღებას თავიანთი
ბკერიითი შემადგენლობით. ქასქების ეთნიკური ვინაობის
დასადგენად. ისინი მიუთითებენ უფრო მეტად ქასქების კოლხურ
წარმოშობაზე. ვიდრე აფხაზურ-ადიღურ წარმომავლობაზე.

თუმცა, როგორც ბატონი გრიგოლი ფიქრობს, წინ კიდევ
ბევრი სამუშაოა, რადგან განსახილველია ქასქების შესახებ
არსებული მთელი ხეთური მასალა.

დალი ოსეფაშვილი

გაზ. "თბილისი", 9 აპრილი, 1999.

ს ა რ ჩ ე ვ ი - СОДЕРЖАНИЕ - INHALT

წინათქმა5
 Предисловие7

ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის („არტანუჯი“, 10, 2000, 9-16)9

K этнической принадлежности кашков (кашков) и абешлайцев хеттских и ассирийских клинописных текстов („ენათმეცნიერების საკითხები“, 2000 №1, 85-92)19

Zur ethnischen Herkunft der Kaškäer von hethitischen Keilschrifturkunden28

Неиндоевропейские этнические группы (хатты, каски) в древней Анатолии по Хеттским клинописным текстам (“Разыскания по истории Абхазии Грузия”, Тб., 1999, 45-60)38

NON-INDO-EUROPEAN ETHNIC GROUPS (THE HATTIANS AND THE KASKEANS) IN ANCIENT ANATOLIA ACCORDING TO HITTITE CUNEIFORM TEXTS (Summary) 58

ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. („საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები“, IV, თბ., 1998, 15-20).....62

დამატება-Дополнение

ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები (ზოგადი მიმოხილვა). („ქართული დიპლომატია“, I, თბ., 1994, 30-46).....73

ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადემის ბრძოლა). („გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, I, 1995, 13-30).91

ვის ეკუთნიან ქაშქები? (გაზ. „თბილისი“. 9 აპრილი, 1999, 3.)102

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა ინასარიძე
ლილი გოზალიშვილი
მანანა ბერიძე
მარინე მურჯიკნელი
მაია ბალასანიანი
ლია გზირიშვილი

წიგნი გამოიცა ა.ო. „პროგრესში“
ქ. ახალციხე, რუსთაველის 91.